# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 28 სექტემბერი 2001 №185 (1458) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 0:2 0:5





2001 წლის 28 მარტს ქართველები თავჩახრილნი, რუმინელები კი მოზეიმენი დასცილდნენ ერთმანეთს

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები 6 ოქტომბერს ბუქარესტში, რუმინეთთან მატჩით დაასრულებს. კორეა-იაპონიაში წასვლა ჩვენებურთათვის ოცნებად რომ დარჩა, ცნობილი ამბავია. რუმინელებთან შეხვედრა ქართველებს გულისმოსაფხანადღა თუ გამოადგებათ. თუმცა ფხანას ვინ ჩივის, საქმე უფრო სერიოზულადაა: საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობას და მათ მწვრთნელსაც რუმინელების ჯავრი უნდა სჭირდეთ. მიზეზი წლევანდელი თბილისური 0:2 არ დაწყებულა, 1996 წლის 24 აპრილის ბუქარესტული 0:5 გავიხსენოთ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ხუთი წლის წინანდელ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს სწორედ ალექსანდრე ჩივაძე წვრთნიდა. გუშინ კი ჩივაძემ ის ოცი ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც სარუმინეთოდ შეკრებს და 3 ოქტომბერს ბუქარესტის გზას გაუყენებს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# ქართველობა ცოტა დარჩა, რონალდო კი გადარჩა

UEFA CUP

უეფას თასს შერჩენილი ქართველები არც აქამდე იყვნენ ბევრნი და გუშინ ორი დააკლდათ – კახა ჩხეტიანის „დებრეცენი" და ედიკ საჯაიას „ტორპედო" „ბორდომ" და „იფსვიჩმა" ჩამოიცილეს.

სამაგიეროდ, გაისეირნეს კახა კალაძის „მილანმა" და რატი ალექსიძის „ჩელსიმ", ბელგრადში გმირულად გაძლო ლევან მიქაძის კიევურმა ცსკა-მ, ხოლო ლევან კობიაშვილის გაფუჭებული პენალტის მიუხედავად, „ფრაიბურგმა" „პუხოვი" დაამარცხა.

ერთადერთ მატჩში ერთადერთი გოლით „რეინჯერსმა" მოუგო „ანჟის", თუმცა ამ სეზონის ევროთასზე სქოთებს შოთა არველაძის გარეშე მოუწევთ თამაში, რაკი მას „აიაქსის" ლიგური მატჩი ეთვლება. ამავე მიზეზით, ობილიჩგადალახულ „კოპენჰაგენს" ვერაფრით დაეხმარება მიხეილ აშვეთია.

სხვა მატჩებიდან კი გამოსარჩევია „ბრაშოვი" – „ინტერი". არა, სენსაცია იქ არ მომხდარა, „ინტერმა" ძალიან იოლად მოიგო, მაგრამ მატჩის მიწურულს ტრავმა მიიღო რონალდომ, რომელიც მხოლოდ ერთი კვირის წინ დაუბრუნდა ფეხბურთს. თუმც ამბობენ, ამჯერად საშიში არაფერიაო, მაგრამ რონალდოა და ხომ იცით...

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

ცრვენა ზვეზდა — ცსკა. არმიულ დერბიში თეთრები, მასპინძლები დამარცხდნენ


REUTERS ბრაშოვიდან

ბრაშოვი — ინტერი. რონალდო (№9), რა თქმა უნდა, დაშავდა. ბედად, მსუბუქად



REUTERS მილანიდან

მილანი — ბატე. რუი კოშტამ (მარჯვნივ) პირველი ოფიციალური მილანური გოლი გაიტანა


REUTERS ბერლინიდან

ყოჩაღი „უნიონის“ ფერდინანდ ჩიფონი გოლით გულით ხარობს


REUTERS ათენიდან

„კერნტენის“ პრეზიდენტ იორგ ჰაიდერს თავისიანების 0:4 ვერ დაუჯერებია


REUTERS ფრაიბურგიდან

ფრაიბურგი — პუხოვი. ალექსანდრე იაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა უეფას თასის პირველი ეტაპი გაიარეს

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
## საპასუხო მატჩები

UEFA CUP

**მილანი** (იტალია) 4:0 ბატე (ბელარუსი) (2:0)
1:0 რუი კოშტა (20), 2:0 ხავი მორენო (45), 3:0 სარი (55), 4:0 ინძაგი (73)
მილანი: როსი, სარი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, კალაძე (დონადელი 74), [illegible] (ბუბამეიანგი 81), დონატი, პირლო, რუი კოშტა (ფ. ინძაგი 61), ხავი მორენო
მსაჯი: ფათიჰ თერიმი
12 000 მაყურებელი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:0 **ცსკა** (უკრაინა) (2:3)
ცსკა: კერნოზენკო, მალცევი, ანენკოვი (ბონდარენკო 73), კირლიკი, ბილოზორი, ლ. მიძაძე, ზაკარლიუკა, კოსტიშინი (კოსირინი 79), ვოლოსიანკო, ტკაჩენკო, ბალიცკი
მსაჯი: ვლადიმირ ბესონოვი
15 000 მაყურებელი

დებრეცენი (უნგრეთი) 3:1 **ბორდო** (საფრანგეთი) (1:5)
1:0 ბლოკაი (44), 2:0, 3:0 კერეკეში (58, 67), 3:1 პაულეტა (81)
დებრეცენი: ბირო, სატმარი, კუტორი, ბერნატი, ბოორი, ბლოკაი, ვადიჩკა, ბაიზატი, ტიბერი (მაიოროში 80), კერეკეში (ფრიდა 90), ულვეჩკი (რადოიჩიჩი 46)
კახა ჩხეტიანი დისკვალიფიცირებული იყო
მსაჯი: იანუშ პაიკუში
7 000 მაყურებელი

ლევსკი (ბულგარეთი) 0:2 **ჩელსი** (ინგლისი) (0:3)
0:1 ტერი (33), 0:2 გუდიონსენი (45)
ჩელსი: დე გუა, ტერი, დესაი, მელხიოტი, გალასი, ბაბაიარო, ლამპარდი, პეტი, იოკანოვიჩი, ძოლა (ნაითი 59), გუდიონსენი (ფორსელი 55)
რატი ალექსიძე სათადარიგო იყო
მსაჯი: კლაუდიო რანიერი
10 000 მაყურებელი

ტორპედო (რუსეთი) 1:2 **იფსვიჩ თაუნი** (ინგლისი) (1:1)
0:1 ფინიდი (47), 0:2 მარკუს სტიუარტი (54), 1:2 ვიაზმიკინი (66)
ტორპედო: ბერეზოვსკი, მალაი, ი. საჯაია (გაშკინი 56), იოლოვიჩი (ლაკიჩი 81), დაევი, ლუხვიჩი, ლეონჩენკო, ჟვინგილასი, კორმილცევი (სემშოვი 41), ვიაზმიკინი, შირკო
მსაჯი: ვიტალი შევჩენკო
5 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი** (გერმანია) 2:1 პუხოვი (სლოვაკეთი) (0:0)
1:0 კულიბალი (21), 1:1 პერნისი (52), 2:1 ტანკო (89)
კობიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (43, მეკარე)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კელი, ცქიტიშვილი, ა. ცაიერი, კობიაშვილი (ბუტი 68), კულიბალი, ტანკო, სელიმი (მ. მიულერი 90), იაშვილი (გერბერი 81)
მსაჯი: ფოლკერ ფინკე
18 855 მაყურებელი

ელფსბორგი (შვედეთი) 1:6 **ლეგია** (პოლონეთი) (1:4)
**გრასჰოპერი** (შვეიცარია) 3:1 დინამო (რუმინეთი) (3:1)
სედანი (საფრანგეთი) 3:1 **პრშიბრამი** (ჩეხეთი) (0:4)
სლოვანი (სლოვაკეთი) 1:0 **ლიბერეცი** (ჩეხეთი) (0:2)
ბირკირკარა (მალტა) 0:0 **დინამო** (რუსეთი) (0:1)
**ტვენტე** (ჰოლანდია) 2:0 პოლონია (პოლონეთი) (2:1)
**ჰალმსტადი** (შვედეთი) 1:0 გენჩლერბირლიგი (თურქეთი) (1:1)
**რაპიდი** (ავსტრია) 5:1 პარტიზანი (იუგოსლავია) (0:1)
**უნიონი** (**გერმანია**) 3:0 ჰაკა (ფინეთი) (1:1)
შახტარი (უკრაინა) 2:1 **ცსკა** (ბულგარეთი) (0:3)
ჰიკ (ფინეთი) 0:2 **პარმა** (იტალია) (0:1)
**ლიტექსი** (ბულგარეთი) 3:0 ინტერი (სლოვაკეთი) (0:1)
**სპორტინგი** (პორტუგალია) 3:2 მიდტიულანდი (დანია) (3:0)
**ბრიუგე** (ბელგია) 7:1 ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) (2:2)
**ფიორენტინა** (იტალია) 2:1 დნიპრო (უკრაინა) (0:0)
**ჰელსინგბორგი** (შვედეთი) 1:1 ოდ გრენლანდი (ნორვეგია) (2:2)
სტიაუა (რუმინეთი) 1:1 **სენტ გალენი** (შვეიცარია) (1:2)
**ბრონდბიუ** (დანია) 0:0 ოლიმპია (სლოვენია) (4:2)
სტრასბური (საფრანგეთი) 2:2 **სტანდარდი** (ბელგია) (0:2)
ჰიბერნიანი (შოტლანდია) 3:2დ.დ. (2:0) **აეკ** (საბერძნეთი) (0:2)
სლავია (ჩეხეთი) 1:1 **სერვეტი** (შვეიცარია) (0:1)
გრაცერი (ავსტრია) 3:3 **უტრეხტი** (ჰოლანდია) (0:3)
**ვისლა** (პოლონეთი) 1:0 ჰაიდუკი (ხორვატია) (2:2)
**პაოკ** (საბერძნეთი) 4:0 კერნტენი (ავსტრია) (0:0)
აპოლონი (კვიპროსი) 0:3 **აიაქსი** (ჰოლანდია) (0:2)
**ვიკინგი** (ნორვეგია) 2:0 კილმარნოკი (შოტლანდია) (1:1)
**ვარტექსი** (ხორვატია) 0:1 ასტონ ვილა (ინგლისი) (3:2)
ობილიჩი (იუგოსლავია) 2:2 **კოპენჰაგენი** (დანია) (0:2)
ბრაშოვი (რუმინეთი) 0:3 **ინტერი** (იტალია) (0:3)
სილკებორგი (დანია) 1:2 **სარაგოსა** (ესპანეთი) (0:3)
სიგმა (ჩეხეთი) 4:3 **სელტა** (ესპანეთი) (0:4)
**ლიდს იუნაიტედი** (ინგლისი) 3:0 მარიტიმუ (პორტუგალია) (0:1)
**ვალენსია** (ესპანეთი) 5:0 ჩერნომორეცი (რუსეთი) (1:0)
**ოსიეკი** (ხორვატია) 1:0 ნოვა გორიცა (სლოვენია) (2:1)
რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) 1:0 **ტრუა** (საფრანგეთი) (1:6)
**გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია) 1:0 ანჟი (რუსეთი)

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### აზია. II წრე

B ჯგუფი. VI ტური
საამიროები 0:1 ჩინეთი
0:1 კი ჰონგი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| ყატარი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| საამიროები | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| უზბეკეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| ომანი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:11 | 2 |


24 საათის ინფორმაცია განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

# ჯორდებთან სტუმრობა ძნელია



ნოლბერტო სოლანომ იან უოქერს აუღებელი და სამქულიანი დაურტყა

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი
### ნიუკასლი 1:0 ლესტერი

1:0 სოლანო (33)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ობრაიენი, რ. ელიოტი, სოლანო, აკუნია, ლი, რობერი, შირერი (ამეობი 87), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლესტერი: ი. უოქერი, როუეტი (ფ. სინკლერი 77), მ. ელიოტი, მარშალი, იმპი, სევიჯი, იზეტი, უაიზი (მ. ჯოუნსი 70), ლუისი, სტარიჯი (აკინბია 46), სკოუკროფტი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: დაბიზასი, აკუნია, როუეტი, მარშალი, სინკლერი
მსაჯი: პოფი
49 185 მაყურებელი

**„ნიუკასლ იუნაიტედმა“** ლონდონში უიღბლო გასეირნების და „ვესტ ჰემთან“ 0:3-ის წაგების შემდეგ შუა კვირაში „ლესტერს“ უმასპინძლა და 1:0 მოუგო ნოლბერტო სოლანოს გოლით.

პერუელმა 33-ე წუთზე გაიტანა კრეიგ ბელამის ბრწყინვალე პასის შემდეგ, თუმცა, ანგარიში სრულიადაც ვერ ასახავს იმ უპირატესობას, მასპინძლები რომ ფლობდნენ ამ მატჩში. ლორან რობერი და ალან შირერი რომ უფრო ზუსტად გარჯილიყვნენ „ნიუკასლი“ დიდი ანგარიშით მოიგებდა. „ვესტ ჰემთან“ წაგების შემდეგ ბიჭები შევაფუცხუნე“, თქვა გამარჯვებულთა მენეჯერმა ბობი რობსონმა. „მეტი ჟინი და თავდადება გვჭირდებოდა. დაცვაც სოლიდურად გამოიყურებოდა“.

ამ მოგებით „ნიუკასლი“ მეხუთე ადგილზე აცოცდა 11 ქულით. „ლესტერს“ კი შვიდ ტურში ერთადერთი გამარჯვება აქვს და ხუთი ქულით ბოლოდან მეორეა ცხრილში.

„ჩვენმა მეკარემ, იან უოქერმა რამდენჯერმე გადაგვარჩინა“, თქვა წაგებულთა თავკაცმა პიტერ ტეილორმა. „ამ ქალაქში სტუმრობა ყოველთვის ძნელია. ჩვენ ვერ შევუტიეთ და წავაგეთ კიდეც“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 14 |
| ბოლტონი | 7 | 3 | 3 | 1 | 10:4 | 12 |
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:5 | 11 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:10 | 11 |
| ნიუკასლი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:9 | 11 |
| ასტონ ვილა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ჩელსი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 9 |
| ლივერპული | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| სანდერლენდი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | 9 |
| ტოტენჰემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| მიდლსბრო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:14 | 7 |
| ფულემი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| ჩარლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| იფსვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| დერბი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| ლესტერი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:15 | 5 |
| საუთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:9 | 3 |

### I დივიზიონი

მე-10 ტური: ბარნსლი — ქოვენთრი 1:1; ბრედფორდი — სტოკპორტი 2:4; ბარნლი — ქრიუ 3:3; გრიმსბი — ჯილინგემი 1:2; პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი 1:2; პრესტონი — ნორვიჩი 4:0; როტერჰემი — უენსდი 1:1; შეფილდი — კრ. პალასი 1:3; უოტფორდი — ბირმინგემი 3:3; უიმბლდონი — მილუოლი 2:2; ვულვზი — ნოტინგემი 1:0; სიტი — უოლსოლი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 10 | 7 | 1 | 2 | 27:17 | 22 |
| ვულვზი | 9 | 6 | 3 | 0 | 17:9 | 21 |
| ნორვიჩი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:11 | 19 |
| სიტი | 9 | 6 | 0 | 3 | 27:16 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:7 | 16 |
| კრ. პალასი | 8 | 5 | 0 | 3 | 21:15 | 15 |
| პორტსმუთი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:15 | 15 |
| გრიმსბი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:16 | 15 |
| ბრედფორდი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:13 | 14 |
| ქოვენთრი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:8 | 14 |
| ჯილინგემი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:13 | 13 |
| უიმბლდონი | 10 | 3 | 4 | 3 | 17:15 | 13 |
| მილუოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:12 | 13 |
| ბირმინგემი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:15 | 13 |
| ნოტინგემი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:7 | 12 |
| პრესტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 |
| უოტფორდი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:16 | 10 |
| ქრიუ | 9 | 3 | 1 | 5 | 9:18 | 10 |
| ბარნსლი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:17 | 9 |
| შეფილდი | 9 | 1 | 5 | 3 | 9:13 | 8 |
| უენსდი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:16 | 7 |
| სტოკპორტი | 9 | 1 | 3 | 5 | 14:20 | 6 |
| უოლსოლი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | 5 |
| როტერჰემი | 9 | 0 | 4 | 5 | 9:17 | 4 |

## შოტლანდია

### ლიგის თასი. II ეტაპი
### ჰამილტონი 0:2 დანდი

0:1 მილნი (66), 0:2 ბოილენი (79)
დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი, დელ რიო, მაროკო, რობერტსონი (ფორბსი 49), რაე, გარიდო, გატი (ბოილენი 69), კარანსა (ფატელო 84), მილნი
გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
2 104 მაყურებელი

**„დანდიმ“** კვლავ ნემსაძის გარეშე ითამაშა, თუმცა ქვედალიგელ „ჰამილტონთან“ ბონეტის გუნდმა მეორე ტაიმში ძალები მოიკრიბა და ლიგის თასის მესამე ეტაპზე გააღწია. არადა, პირველ ტაიმში მეტად დაკავებული სტუმართა მეკარე ჯეიმი ლენგფილდი გახლდათ — სამჯერ სწორედ მან არ გაახარა „ბალასტ სტედიუმზე“ მისული მაყურებელი. „შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, ძალიან აგრესიული მეტოქე გვყავს და ჩვენც თუ არ გავბრაზდით, მხოლოდ კლასით ვერაფერს გავხდებით-მეთქი“ — თქვა მატჩის შემდეგ ივანო ბონეტიმ, ვინც ძირითადში სულ ახლახან იჯარით აყვანილი ლუკას გატი, წარსულში ცნობილი არგენტინელი მეკარის უგოს ვაჟი, გაამწესა. ჭაბუკმა სამხრეთამერიკელმა დებიუტი სოლიდური თამაშით აღნიშნა, თუმცა მეორე და გადამწყვეტი გოლი სწორედ მისმა შემცვლელმა კოლინ ბოილენმა შეაგდო.

ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელიც წინა შაბათს „კილმარნოკთან“ სტუმრად მოგებული მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, მწვრთნელის დავალებას თავი ამჯერადაც უშეცდომოდ გაართვა.

**გიგა ძოგახიძე**

**კლაიდი 1:2 სენტ ჯონსტონი**
**ინვერნესი 3:3დდ. (პენ. 4:2, 2:2) პარტიკი**
**ლივინგსტონი 3:0 ისტ ფაიფი**
**დანფერმლაინი 3:0 ალოა**
**სტირლინგი 2:1 სენტ მირენი**
**ეირდრი 2:1 მოზერუელი**
**ეარი 4:0 სტრანრარი**
**დანდი იუნაიტედი 8:0 დამბარტონი**
**ფოლკირკი 0:2 რეინჯი**
**როს ქაუნთი 0:0 (პენ. 5:4) პარტისი**
**ქუინ ოფ საუთი 1:2 აბერდინი**

### 1/8 ფინალის წილისყრა

გლაზგო რეინჯერსი — ეირდრი; რეით როვერსი — ჰიბერნიანი; დანფერმლაინი — ინვერნესი; დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი; აბერდინი — ლივინგსტონი; როს ქაუნთი — დანდი; სელტიკი — სტირლინგი; ეარი — კილმარნოკი

მატჩები გაიმართება 9-10 ოქტომბერს

## ფინეთი

### გადადებული მატჩები
**ჯაზი 1:0 მიუპა**
**ვაასა 4:1 ატლანტისი**
**ტამპერე 2:0 ინტერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 27 | 15 | 9 | 3 | 52:15 | 54 |
| მიუპა | 28 | 14 | 9 | 5 | 40:23 | 51 |
| ტამპერე | 27 | 15 | 5 | 7 | 38:31 | 50 |
| ჰაკა | 26 | 13 | 6 | 7 | 38:21 | 45 |
| ინტერი | 28 | 13 | 4 | 11 | 38:37 | 43 |
| ატლანტისი | 26 | 9 | 9 | 8 | 34:36 | 36 |
| ვაასა | 27 | 10 | 3 | 14 | 36:44 | 33 |
| ლაჰტი | 27 | 7 | 9 | 11 | 31:37 | 30 |
| კუოპიო | 26 | 6 | 8 | 12 | 22:34 | 26 |
| ჯაზი | 28 | 6 | 8 | 14 | 27:44 | 26 |
| იოკერიტი | 27 | 7 | 5 | 15 | 27:45 | 26 |
| როვანიემი | 27 | 5 | 9 | 13 | 21:37 | 24 |

## შვეიცარია

### A ჯგუფი. გადადებული მატჩი
**ბაზელი 3:1 ლოზანა**

1:0 ხიმენესი (4), 2:0 იაკინი (29), 2:1 შაფრია (42), 3:1 იაკინი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 12 | 6 | 3 | 3 | 20:11 | 21 |
| გრასჰოპერი | 12 | 6 | 2 | 4 | 28:15 | 20 |
| სიონი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:12 | 20 |
| ბაზელი | 12 | 6 | 2 | 4 | 25:22 | 20 |
| აარაუ | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 |
| იანგ ბოისი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:18 | 19 |
| ლუგანო | 12 | 5 | 3 | 4 | 17:18 | 18 |
| ციურიხი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:17 | 17 |
| სენტ გალენი | 12 | 4 | 3 | 5 | 20:22 | 15 |
| ქსამაქსი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ლოზანა | 12 | 2 | 3 | 7 | 12:24 | 9 |
| ლუცერნი | 12 | 1 | 2 | 9 | 13:33 | 5 |

## შვედეთი

### XXII ტური
**აიკ 1:1 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 22 | 12 | 6 | 4 | 36:19 | 42 |
| გიოტებორგი | 22 | 11 | 7 | 4 | 38:25 | 40 |
| იურგორდენი | 22 | 11 | 6 | 5 | 29:21 | 39 |
| ჰალმსტადი | 21 | 9 | 6 | 6 | 44:26 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 8 | 9 | 4 | 38:25 | 33 |
| აიკ | 22 | 8 | 9 | 5 | 30:25 | 33 |
| იორგრიტე | 22 | 8 | 8 | 6 | 30:29 | 32 |
| მალმიო | 22 | 8 | 5 | 9 | 34:36 | 29 |
| იორებრო | 22 | 6 | 9 | 7 | 40:39 | 27 |
| ელფსბორგი | 22 | 7 | 3 | 12 | 26:44 | 24 |
| ნორჩიოპინგი | 22 | 5 | 8 | 9 | 23:36 | 23 |
| სუნდსვალი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:34 | 22 |
| ჰეკენი | 22 | 4 | 8 | 10 | 30:39 | 20 |
| ტრელებორგი | 22 | 3 | 5 | 14 | 25:49 | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ნაკრების ყოფილ ნახევარმცველ პოლ ინსს „მიდლსბრომ“ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა. ინსს კარიერის დასრულება სწორედ „ბოროში“ სურდა, თუმცა კლუბის უფროსობისგან უარი რომ მიიღო, განაცხადა, თამაშს იტალიში, სერია A-ს რომელიმე კლუბში დავასრულებო.

**ესპანურ** გაზეთ „მარკას“ ცნობით, მადრიდის „რეალი“ ფრანგული „რენის“ 21 წლის მარჯვენა მცველით ანტონი რეველიერითაა დაინტერესებული. ფრანგული კლუბის გენერალურმა დირექტორმა ჟერარ ლეფილიატმა განაცხადა, რომ ესპანელი სკაუტები რამდენჯერმე მართლაც იყვნენ რენში და რეველიერს აკვირდებოდნენ. „რეალს“ კონკურენტიც გამოუჩნდა: საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელით ლონდონის „არსენალიც“ ყოფილა დაინტერესებული.

**იტალიური** „მილანის“ დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი მეკარე ნელსონ დიდა სამშობლოში ბრუნდება და კარიერას „კორინთიანსში“ გააგრძელებს. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც დიდა 7 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, ჩილეს ნაკრებთან, თავისი ქვეყნის ღირსებას დაიცავს. „მილანთან“ მოლაპარაკება წარმატებით მიდის, გუნდში დაბრუნების სურვილი თავად მეკარემაც გამოთქვა“ — განაცხადა „კორინთიანსის“ წარმომადგენელმა.

**ინგლისური** „ლიდს იუნაიტედის“ ნახევარმცველი მაიკლ ბრიჯისი ბოლო ერთი წლის მანძილზე მესამედ დაშავდა. ბრიჯისმა მუხლი დაიზიანა და კარგა ხანს მოუწევს დასვენება. ექიმების თქმით, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შეძლებს ის ვარჯიშის განახლებას. იორკშირელთა თავკაცმა დევიდ ოლირიმ კი დაღონებულმა თქვა, სამწუხაროდ, ბრიჯისი წლევანდელ სეზონში ვერ დაგვეხმარებაო.

**გერმანიის** ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი კრისტიან ვიორნსი ეროვნულ გუნდში დააბრუნა. ინგლისთან 1:5 წაგებაში მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ვიორნსი პირველმა დაადანაშაულა და საქვეყნოდ განაცხადა, თუ იგი ნაკრებში არ იქნება, ამით გერმანია არაფერს დაკარგავსო. ფეხბურთელს „კაიზერ ფრანცის“ მკვახე სიტყვები გულთან ახლოს მიუტანია და პასუხის გაცემასაც აპირებდა, თუმცა ჯერ ფიოლერთან უსაუბრია. „ჩვენ კაცურად ვილაპარაკეთ, მადლობა რუდის მხარდაჭერისთვის, მითხრა, რომ მას კვლავაც ვჭირდები“ — თქვა 29 წლის დორტმუნდელმა.

**ინგლისელი** ფორვარდი მაიკლ ოუენი ახლა დაშავებულია, მაგრამ ტრავმას ხელი არ შეუშლია, „ლივერპულთან“ კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გაეხანგრძლივებინა. 21 წლის ფეხბურთელი ახალი ხელშეკრულების თანახმად, მერსისაიდული კლუბის ერთგული 2005 წლამდე დარჩება და კვირაში 90 ათას დოლარს მიიღებს. „ვერც წარმომიდგენია, თუ „ლივერპულის“ გარდა სხვა გუნდის მაისურით ვითამაშებ, ეს ჩემი ქალაქია, მიყვარს ეს გუნდი და მისი გულშემატკივრები“ — თქვა ოუენმა.

**ბრაზილიელ** ვეტერან რომარიოს იტალიურმა „პარმამ“ 2,5 მილიონი დოლარი და ხუთთვიანი კონტრაქტი შესთავაზა. რომარიოს „ვასკუ და გამას“ ხელმძღვანელობასთან პრობლემები შეექმნა, მას კლუბის დატოვება და კვლავაც „ბებერ კონტინენტზე“ დაბრუნება სურს. „პარმამ“ ბრაზილიის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს საუცხოო პირობა შესთავაზა, ახლა ჯერი თავად რომარიოზეა.

**იტალიური** „ლაციოს“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ თავის გუნდში ენრიკო კიეზას ხილვა ისურვა. რომაელთა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ „ფიორენტინას“ კიეზას სანაცვლოდ 10 მილიონი დოლარი და ზედ იუგოსლავიელი დარკო კოვაჩევიჩი შესთავაზა. მოგეხსენებათ, იტალიის 2000 წლის ჩემპიონებს ტრავმების ეპიდემია მიეძალათ, ახლა მთავარი მეგოლე ერნან კრესპოც სულ ცოტა, სამი თვით გამოაკლდათ. ამიტომაცაა, რომ სერია A-ში სატრანსფერო სეზონის დახურვამდე (30 სექტემბერი) ალბერტო ძაკერონი კიეზას გადაბირებას ეშურება. თუმც „ფიორენტინას“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლუჩანო ლუნამ განაცხადა: „ჩვენ წინადადება მივიღეთ, მაგრამ სიცრუეა, თითქოსდა კიეზა „ლაციოს“ უკვე მივყიდეთ. ენრიკო ჯერ ჩვენთანაა, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ „ლაციოს“ მართლაც დავუთმოთ“. ალბერტო ძაკერონი „უდინეზეს“ დანიელ ნახევარმცველ მარტინ იორგენსენითაც არის დაინტერესებული.

**კოლუმბიელი** თავდამსხმელი ვიქტორ ბონილია „ტულუზიდან“ საფრანგეთის ჩემპიონ „ნანტში“ გადავიდა. მოლაპარაკება ორი კვირას გრძელდებოდა, საბოლოოდ კი ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კოლუმბიელმა ოთხშაბათს კონტრაქტს ხელი მოაწერა. „ნანტის“ პრეზიდენტ კლებერ ბობენის განცხადებით, ვიქტორ ბონილიამ ტრავმირებული რუმინელი ვიორელ მოლდოვანი უნდა შეცვალოს.


**რეკლამა სარბიელ-ში**
**Tel: 39 40 08, 93 16 08;**
**Fax: 94 33 80**



**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!**
**ამა წლის 29 სექტემბერს გრიბოედოვის თეატრის შენობაში გაიმართება ასოციაციის VIII საერთო კრება. წევრთა დასწრება სავალდებულოა. რეგისტრაცია დაიწყება 9 საათზე**

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. A ჯგუფი

# ბატისტუტა? არა, ჩუგაინოვი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რომა 2:1 ლოკომოტივი**

0:1 ობრადოვიჩი (58), 1:1 ჩუგაინოვი (69ს.კ.), 2:1 ტოტი (79)
რომა: ანტონიოლი, კაფუ (გიგუ 61), ძებინა, სამუელი, ძაგო, კანდელა, ტომაზი (ასუნსაო 61), ლიმა, ტოტი, მონტელა (ბატისტუტა 46), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობრადოვიჩი, მამინოვი, იზმაილოვი, ლეკხეტო, ლოსკოვი, დროზდოვი, პიმენოვი (ბუზნიკინი 73), იგნაშევიჩი
მწვრთნელი: იური სიომინი
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
40 000 მაყურებელი

**„დღეს** საერთოდ არ ვაპირებდი გაბრიელ ბატისტუტას გამოყვანას — თქვა მატჩის შემდეგ ფაბიო კაპელომ — სერია A-ს მომდევნო ტურში „იუვენტუსთან" სათამაშოდ ვასვენებდი და უფრო სწრაფ მონტელას ვენდე, მაგრამ პირველ ტაიმში ვერ გავიტანეთ და იძულებული გავხდი, ბატისტუტა გამეყვანა".

როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, ბატისტუტამ „რომას" გამარჯვებაში წვლილი ვერ შეიტანა და კაპელო გამარჯვების გოლის გამტან ფრანჩესკო ტოტიზე მეტად რუს ჩუგაინოვს უნდა უმადლოდეს. რუსლან ნიგმატულინი, რომელიც ბრწყინვალედ იცავდა საკუთარ კარს, თანაგუნდელის ჩაჭრილ ბურთს ვერ მოერია.

ანგარიში კი რკინიგზელთა იუგოსლაველმა ობრადოვიჩმა გაიტანა. სტუმართა კონტრშეტევა რომაელებმა კუთხურის ფასად მოიგერიეს. იზმაილოვმა ჩააწოდა და ბურთი ობრადოვიჩს დაასვა თავზე, რომელმაც კუთხეში დაარტყა. ანტონიოლი უძლური იყო რაიმე ელონა, თან დარტყმის მომენტში ჩერევჩენკო ეფარებოდა.

გამარჯვებისა, როგორც აღვნიშნეთ, ტოტიმ გაიტანა. რუსები შეტევაში გაერთნენ, ლეკხეტომ დაცვაში დაბრუნება დააგვიანა და ტოტი და ბატისტუტა ოდენ ჩერევჩენკოს იმედად დატოვა. ნიგმატულინი გაექანა, რათა რომაელთა კაპიტანს ფეხებში ჩავარდნოდა, მაგრამ ტოტიმ მეკარეს მიახლოვება არ აცალა და გაისროლა — ბურთმა ნიგმატულინს თავზე გადაუფრინა, ხარიხას გაეხახუნა და ბადეში ჩაეშვა.

ბოლო წუთზე კი „რომა" კინაღამ დაისაჯა. ანტონიოლის ბურთი გაუვარდა, თავშიც მოხვდა, მაგრამ... არა, ეს „ლოკომოტივის" დღე არ იყო.

**რეალი 4:1 ანდერლეხტი**

0:1 დინდანე (33), 1:1 სელადესი (49), 2:1, 3:1 რაული (51, 68), 4:1 სოლარი (79)
რეალი: კასილიასი, სალგადო (ჯერემი 69), რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, სელადესი, მაკელელე (ბალიჩი 81), სოლარი, ფიგუ, რაული, მუნიტისი (მორიენტესი 72)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, ვან ჰუტი, დე ბუკი, ილიჩი, ვანდერეგე, ბასეჯიო (ელ საიდი 66), ჰასი (დე ბილდე 59), ჰენდრიქსი (ო. ტომპსონი 71), სტოიკა, დინდანე
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
65 000 მაყურებელი

**მადრიდის** „რეალმა" ზედიზედ მეორე სალიგო მატჩში ოთხი გოლი გაიტანა, პირველი წრე ქულათა მაქსიმუმით ჩაამთავრა და შემდეგ ეტაპზე გასვლა ფაქტობრივად გაინაღდა.

თუმცა თავიდან ყველაფერი არც ისე კარგად დაიწყო — ჯერ რობერტო კარლოსის უხეში შეცდომის შემდეგ მადრიდელთა გადარჩენა იკერ კასილიასს მოუხდა, მაგრამ მოგვიანებით არუნა დინდანემ ბრიუსელელები მაინც დააწინაურა.

თუმც ისიც სათქმელია, რომ ამ გოლის მიუხედავად, „რეალი" უზარმაზარ უპირატესობას ფლობდა და თუ პირველივე ტაიმში ვერ გაათანაბრეს, მხოლოდ უიღბლობის გამო — რაულმა და ფიგუმ საოცარი მომენტები გააცუდეს.

შესვენების მერე „ანდერლეხტს" გამართლების ლიმიტი ამოეწურა და ორწუთიან ინტერვალში ალბერტ სელადესმა და რაულმა ორი გოლი გაიტანეს. ამ ორ გოლს სტუმართა დაცვის სრული მოშლა მოჰყვა, ხოლო მასპინძლებმა ზეწოლა გააძლიერეს. ბოლო ორი გოლი, რაულისა და სანტიაგო სოლარისა, ძალიან ჰგავდა ერთმანეთს (ფილიპ დე ვილდეს ბურთი ზემოდან გადაუგდეს) და ბელგიელთა სრული უსუსურობის კარგ მაგალითადაც გამოდგება.

„პირველ ტაიმში თამაში აშკარად არ წაგვივიდა — თქვა მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკემ — საბედნიეროდ, შესვენების შემდეგ ყველაფერი ლოგიკურად გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტოქეს ბევრად ვჯობდით, დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩი ძალიან მძიმე იქნება. ბელგიელები შინ იოლად არ დაგვნებდებიან, თუმც ვფიქრობ, ბრიუსელიდან სამ ქულას მაინც წამოვიღებთ".

ემე ანტუნესმა კი მარცხის მიზეზად მადრიდელთა უფრო მაღალი კლასი და სისწრაფე მიიჩნია: „მეორე ტაიმში „რეალმა" სიჩქარეს უმატა და ჩვენი ფეხბურთელები მათ უბრალოდ ველარ ეწეოდნენ".

**გიორგი დარჯანია**


REUTERS როიტერსი

რომა — ლოკომოტივი. რუსები ფრანჩესკო ტოტიმ (№10) გატეხა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. B ჯგუფი

# ლივერპულია, განა კრივბასი...

**ლივერპული 1:0 დინამო**

1:0 ლიტმანენი (23)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ვინალი, ანზო, ჰიიპია, ჰამანი, ჯერარდი, ბარმბი (მერფი 61), რიისე (მაკალისტერი 79), ლიტმანენი (ფაულერი 65), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
დინამო: ფილიმონოვი, ფიოდოროვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მელაშჩენკო, ბელკევიჩი (სერებრიანიკოვი 81), გიოანე, იდაჰორი, ნესმაჩნი, ჩერნატი (შევჩი 69), გავრანჩიჩი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
33 513 მაყურებელი

**ორი საწყისი** ფრის მერე ლეგენდარულმა „ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად გაიმარჯვა და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოიკეთა. ერთადერთი გოლი ფინელმა იარი ლიტმანენმა გაიტანა, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში დაშავებული მაიკლ ოუენის მაგიერ მოხვდა. „იარი ძალიან სწრაფი ფეხბურთელია და გოლის უტყუარი ალღო აქვს. მან მთელი მატჩი კარგად ჩაატარა და მხოლოდ დაღლილობის გამო შევცვალეთ" — შეაქო თავისი ფორვარდი მწვრთნელმა ჟერარ ულიემ.

„ლივერპულმა" მართლაც კარგად ითამაშა, ბევრს უტევდა და კიეველებს, ფაქტობრივად, ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეაქმნევინა. ლიტმანენმა ფილიმონოვს უკვე მე-4 წუთზე გაუტანა, მაგრამ მსაჯმა კოლინამ თამაშგარე აღნიშნა. ცოტა ხანში კიეველთა რუმინელმა გიოანემ იმავ ლიტმანენის დარტყმის შემდეგ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში უხეშად შეცდა მეკარე ფილიმონოვი. წინა შეხვედრისა არ იყოს, თავიდან ის კვლავაც დაბნეული ჩანდა, მაგრამ მერე დაწყნარდა და რამდენიმე ძნელი ბურთიც მოიგერია.

მოუსვენარმა ლიტმანენმა კი თავისი მაინც გაიტანა. 23-ე წუთზე სტივენ ჯერარდმა სახიფათო საჯარიმო დაარტყა, გოლოვკოს თავიდან ასხლეტილი ბურთი ძელს მოხვდა, იქვე მყოფმა ფინელმა ყველას დაასწრო და კინაღამ ბადე გახია.

მასპინძლები არც მეორე ტაიმში დაოკებულან. ძალიან ცდილობდა ემილ ჰესკი, ორი კარგი შანსიც მიეცა, მაგრამ ერთხელ ფილიმონოვმა აუღო, მეორედ კი არაზუსტად დაარტყა. რამდენიმე წამში კი ნიკ ბარმბიმ მახვილი კუთხიდან ძელს გაარტყა.

ჟერარ ულიე: „დინამო" ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ გაცილებით კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ. ჩემი ბიჭებით ძალიან კმაყოფილი გახლავართ".

ვალერი ლობანოვსკი: „ლივერპული" უნივერსალური გუნდია, თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს და მასთან წინააღმდეგობა ერთობ ძნელი საქმეა. მით უმეტეს, ჩვენებრ გამოუცდელი გუნდისთვის. აი, „კრივბასთან" ჩემებს ყველაფერი გამოსდით, აქ კი ვერც ბურთს აჩერებდნენ ხეირიანად და ვერც ორთაბრძოლებს იგებდნენ. რას ვიზამთ, ახალგაზრდები არიან. ფილიმონოვით კი კმაყოფილი ვარ. ის ლიგაში გამოცდილი მებრძოლია და ამიტომაც ვაყენებთ კარში".



REUTERS როიტერსი

ლივერპული — დინამო. მაიკლ ოუენის არყოფნაში იარი ლიტმანენმა გატანას უწმირა

**ბოავიშტა 2:1 დორტმუნდი**

1:0 ელპიდიუ სილვა (22), 2:0 სანჩესი (38), 2:1 ამოროზო (75)
ბოავიშტა: რიკარდუ, ფრეშაუ, ერივენი, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, გლაუბერი (გუვეია 75), ა. პეტი, სანჩესი, დუდა, ალექსანდრე (ბოსინგვა 80), ელპიდიუ სილვა (სერჟინიუ 75)
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, იურგენ კოლერი (რიკენი 63), ევანილსონი, სტევიჩი (მერლიხი 82), დედე, როსიცკი, სორენსენი (ბობიჩი 46), იან კოლერი, ამოროზო
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაძევება: ამოროზო (90)
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
8 000 მაყურებელი

**„ბოავიშტა"** საოცრებებს აგრძელებს. გუნდმა, რომელსაც ტურნირის დასაწყისში ჯგუფის აუტსაიდერად მიიჩნევდნენ, ზედიზედ მეორე თამაში მოიგო და შვიდი ქულით ისევ ყველას თავზეა მოქცეული.

ელპიდიუ სილვა ის კაცია, ლიგის სამივე მატჩში რომ გაიტანა. „დორტმუნდი" მან 22-ე წუთზე დასაჯა, როცა საჯარიმოში არმანდო პეტის პასი მიიღო, კრისტიან ვიორნსი მოატყუა და პირველი გოლი შეაგდო. სხვათა შორის, პორტუგალიელებმა ტაქტიკურადაც ეშმაკურად ითამაშეს, თავიდანვე გააფთრებით არ შეუტევიათ. უფრო მეტიც, ტერიტორიული უპირატესობა გერმანელებს დაუთმეს და თავად სწრაფი კონტრშეტევებით პასუხობდნენ.

„დორტმუნდს" მე-4 წუთზე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ვიორნსის შორეული დარტყმა მეკარე რიკარდუმ კუთხურზე მოიგერია. მერე კი მასპინძლებმა იძალეს. სილვას გოლმა ხომ მთლად ფრთები შეასხათ და მალე მეორეც გაიტანეს. ბოლივიელმა ერვინ სანჩესმა სადღაც 25 მეტრიდან ულამაზესი ჯარიმა შეასრულა.

მეორე ტაიმში „ბორუსია" მაგრად მიაწვა მასპინძლებს, ერთი-ორჯერ გასატანიც ვერ გაიტანა. მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა, როცა ჩეხმა იან კოლერმა მორიგი ხიფათი შეუქმნა ბოავიშტელებს, მაგრამ ბურთი მეკარეს ვერ ააცილა. რამდენიმე წამში მარსიო ამოროზომ ფრედი ბობიჩის გადაცემა მიიღო, მეურვეებს დაუსხლტა, მეკარეც მოატყუა და ერთი საპასუხო გაიტანა. მეტისთვის „დორტმუნდი" მზად არ აღმოჩნდა. აი, მასპინძლებმა კი ბოლო წამებზე კიდევ ერთხელ ააღელვეს სტადიონზე მისული საზოგადოება, პეტიმ შორიდან ღონივრად დაარტყა და ლემანის კარის ხარიხა შეაზანზარა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დორტმუნდი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. C ჯგუფი

# პანაფერაიკოსმა ანრი განარისხა

**პანათინაიკოსი 1:0 არსენალი**

1:0 კარაგუნისი (25)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, პაულუ სოუზა, ვლაოვიჩი (კონსტანტინუ 65), მიკაელსენი, ფოკოლოსი, კირიაკოსი, ბასინასი, ოლისადებე (კოლკა 70), კარაგუნისი (სარიჩი 84), ფისასი
მწვრთნელი: იოანის კირიასტასი
არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, ვიეირა, კიოუნი, პირესი, ლიუნგბერგი (კანუ 68), ლორენი, პარლოუ (ვან ბრონკჰორსტი 53), აშსონი, ანრი, ვილტორდი (ჯეფერსი 68)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
17 200 მაყურებელი

**საფინალო** სასტვენის შემდეგ ტიერი ანრი მსაჯმა ვიტორ მანუელ მელო პერეირამ, მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და პოლიციის ოფიცერმა ძლივს გაიყვანეს მოედნიდან. „მეთოფეთა“ ფრანგი თავდამსხმელის შფოთვის საბაბი „პანათინაიკოსის“ მოთამაშეების — იან მიკაელსენის და ანგელოს ბასინასის საქციელი გახლდათ. ისინი სიმულაციას არ ერიდებოდნენ და წამდაუწუმ მოედანზე გორაობდნენ. მსაჯიც წამოეგო ანკესს და ხშირ შემთხვევაში ბერძენთა სასარგებლოდ ჯარიმებს მაშინ ნიშნავდა, როცა ლონდონელები დამნაშავენი არ ყოფილან. ეს ფაქტი თამაშის შემდეგ არსენ ვენგერმაც აღნიშნა.

ბრაზმორეულმა ანრიმ კი თქვა: „კინაღამ შევიშალე. მეტოქისგან ასეთი უმსგავსობა აქამდე არასდროს მენახა. მსაჯიც არაერთხელ გავაფრთხილე, რომ მიკაელსენი და ბასინასი აფერისტობდნენ, თუმცა რად გინდა, თავისი გაიტანეს“.

„პანათინაიკოსმა“, რომელსაც ბოლო ათი ინგლისელი მეტოქე ვერ დაემარცხებინა, „არსენალს“ 1:0 მოუგო, რითაც ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და მცირე ნაბიჯიღა აკლია მეორე ჯგუფურ ეტაპზე გაღწევამდე. ერთადერთი გოლი 25-ე წუთზე ასე გავიდა: დანიელმა მიკაელსენმა იოლად ჩაიტანა ბურთი „არსენალის“ საჯარიმომდე, შემდეგ კარგი გადაცემა გაუკეთა კარაგუნისს, მან კი თავით შეაგდო. ბერძნებს 37-ე წუთზე კიდევ შეეძლოთ გატანა, როცა ლონდონელთა ვეტერანებმა მარტინ კიოუნმა და მეკარე დევიდ სიმენმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და ბურთი ემანუელ ოლისაბედეს ნადავლი გახდა, თუმცა



პანათინაიკოსი — არსენალი. ბერძნებზე გამწარებული ტიერი ანრი მოედნიდან ძლივს გაიყვანეს

ინგლისელთა ბედად ამ უკანასკნელმა კარში არაზუსტად დაარტყა.

„არსენელს“ რა? სამ თამაშში სამი ქულა. აქ კი დიდი კითხვის ნიშანიც გაჩნდა, მოახერხებენ თუ არა ლონდონელები ჯგუფიდან გასვლას? ამის პასუხი წესით არსენ ვენგერმა უნდა იცოდეს და უპრიანია მისი აზრი მოვისმინოთ: „ჯერ არაფერი დასრულებულა და ძალიან არ უნდა შევშფოთდეთ. ის კი ცხადია, თუ შემდეგ ეტაპზე გასვლა შევძელით, იქ ასეთი დაცვით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, მანამდე კი ამ ჯგუფის დარჩენილ სამ თამაშში უნდა მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგს“.

ინგლისური პრესა უკვე ალაპარაკდა იმ 30 მილიონ გირვანქაზე, რომელიც ლონდონურმა კლუბმა ზაფხულის სატრანსფერო სეზონში დახარჯა. გაჩნდა კითხვები, ჯერჯერობით რაში არგია „არსენალს“ ახალწვეულები. შარშან მათ გარეშე გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, ახლანდელი გადასახედიდან კი მეოთხედფინალიც შორეულ ოცნებად მოჩანს.

**შალკე 0:1 მალიორკა**

0:1 ეტოო (65)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი (ასამოა 70), ვან კერკჰოვენი, უდე კამპუისი, ვან ჰუგდალემი, ნემეცი (მულდერი 82), მიოლერი, ბიომე (ბიუსკენსი 67), აგალი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მალიორკა: როა, ოლაიზოლა, ფერნანდესი (ფათიში 46), ნადალი, მიგელ სოლერი, ენგონგა, მარკოსი, ნოვო, დიასი (ჩიჩი სოლერი 87), ეტოო, ლუკე (პაუნოვიჩი 72)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
52 300 მაყურებელი

**„არსენალის“** გაჭირვებას ისიც ემატება, რომ „მალიორკა“, ჯგუფში მისი უშუალო კონკურენტი, დათმობაზე წასვლას არ აპირებს. აი, ესპანელებს „შალკესთან“ სტუმრად რომ წაეგოთ, მაშინ სამივე გუნდი — „შალკე“, „არსენალი“ და „მალიორკა“ სამ-სამ ქულას დააგროვებდა და ლონდონელებიც არ იქნებოდნენ ძალიან რთულ ვითარებაში. თუმცა ვარაუდს რაღა აზრი აქვს. რეალობა ასეთია, „მალიორკამ“ სტუმრად დაამარცხა „შალკე“, 6 ქულა მოაგროვა, ხოლო თავად გელზენკირხენელები ნულზე და ჯგუფში ბოლო ადგილზე დატოვა.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გელზენკირხენში ესპანურ კლუბს გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ კრაუსმა მოაგებინა. თამაშის ბედი კი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა და ის კამერუნელმა თავდამსხმელმა, ყოფილმა რეალელმა სამუელ ეტოომ გაიტანა ალბერტო ლუკეს ზუსტი გადაცემის შემდეგ.

თუმცა ამ გოლამდე ათი წუთით ადრე ერთი სადავო ეპიზოდი იყო. მალიორკელთა საჯარიმოში შეჭრილი ბელგიელი თავდამსხმელი ემილ მპენზა საეჭვოდ წაიქცა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს წაქცევა ესპანელთა არგენტინელი კარის დარაჯის კარლოს როას დამსახურება იყო (შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი თითქმის ერთწლიანი ტრავმის შემდეგ კვლავ გამოჩნდა „მალიორკას“ ძირითად შემადგენლობაში), თუმცა რუსმა მსაჯმა ნიკოლაი ლევნიკოვმა ასე არ მიიჩნია — არც გერმანელ ფეხბურთელთა პროტესტს ათხოვა ყური და არც სტადიონზე მსხდომი 53 ათასი ფანის სტვენას — თერთმეტრიანი არ დანიშნა.

ბოლო ათ წუთში „შალკე“ ვა-ბანკზე წავიდა. მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი ოთხი თავდამსხმელით შეეცადა მატჩის სასიკეთოდ შემობრუნებას, მაგრამ თავიდან მინდორზე მყოფმა ემილ მპენზამ და ვიქტორ აგალიმ, ასევე შემდეგ შეცვლაზე შესულმა ბიუსკენსმა და მულდერმა ერთად შედეგი ვერ მოიტანეს. „მალიორკა“ მედგრად იდგა და გოლი არ გაუშვა.

ამრიგად, „შალკე“ თითქმის განწირულია. მათი მწვრთნელი ამბობდა კიდეც მატჩის წინ, თუ ვერ მოვიგეთ, უიმედოდ დავრჩებითო.

ახლა „მალიორკამ“ და „არსენალმა“ უნდა გაარკვიონ ერთმანეთში, ვინ უფრო იმსახურებს მეორე ჯგუფურ ეტაპს. ეს გუნდები მეხუთე ტურში 24 ოქტომბერს შეხვდებიან, ხოლო მანამდე, უახლოეს მეოთხე ტურში, „შალკე“ ესპანეთში სტუმრობს, „პანათინაიკოსი“ კი ინგლისში.

**ნიკა შუბლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| მალიორკა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| შალკე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. D ჯგუფი

# ჟარ კრანიოტის გულდამწვარი ქირისუფალი

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 ლაციო**

1:0 ჰოფლანდი (40)
პსვ ეინდჰოვენი: კრალი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ბუმა, რომედალი (ბახოკიძე 73), ვან ბომელი (ლუსიუსი 62), ფოგელი, რამზი, კეჟმანი, ბრუგინკი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 89)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ლაციო: პერუცი, კოლონეზე, კოუტუ, პანკარო, ბაჯო, მენდიეტა (პობორსკი 72), ჯანიკედა, სიმეონე (დ. სტანკოვიჩი 38), ფიორე, კლაუდიო ლოპესი, კოვაჩევიჩი (ს. ინძაგი 74)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
მსაჯი: თომას მაკკარი (შოტლანდია)
30 000 მაყურებელი

**„ლაციო“** ისევ ჩავარდა. ამჯერად ძალიან ღრმად. უცნაურია, რატომ გაათავისუფლეს ძოფი. ორი თამაშიდან ორივეს წაგებას ხომ ისიც შეძლებდა. ალბათ, ძაკერონის თავკაცობით მარცხს უფრო სხვა გემო აქვს. უნებლიედ მახსენდება ზაფხულის ის საღამო, როდესაც მენდიეტა რომში ჩავიდა და „ლაციოსთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. დარწმუნებული ვარ, ის დღე ქერათმიან ბასკსაც ხშირად ახსენდება და სერჯო კრანიოტისაც. რა არის კარგი გუნდის შექმნის წინაპირობა? მაღალი დონის შემსრულებლები და ფეხბურთელთა შეხმატკბილებული მოქმედება. რომაულ კლუბში ჯერჯერობით მეორე პუნქტს ვერ მიაღწიეს ვერც ძოფმა და ვერც ძაკერონიმ. მოთამაშეები ერთმანეთს ვერ უგებენ, არადა, სათითაოდ აღებული ყველა გამოცდილი და ჭიპმოჭრილია.

მიზანი გასცუდებია კლაუდიო ლოპესს. ძირითადში დაყენება ელირსა დარკო კოვაჩევიჩს, მაგრამ ის უფრო მაშინ იყო ძლიერი, როცა „იუვეს“ რიგებში შეცვლაზე შედიოდა. „ლაციოს“ შუა ხაზი სრულიად მოშლილია. მიხაილოვიჩისა და ნესტას გარეშე დაცვა უსუსტესად გამოიყურება. გულშემატკივარი კი უკვე მიეჩვია იმას, რომ სადაც ვარსკვლავები თამაშობენ, ის გუნდი ყოველთვის უნდა იგებდეს. წარმოდგენა დასრულდა. ახლა „ლილის“, „ბოავიშტას“ და მისთანების დროა.

თავად „ეინდჰოვენისა“ და „ლაციოს“ შეხვედრა მთლიანობაში მაღალ ტემპში წარიმართა. საგოლე მომენტები ორივე კართან შეიქმნა. კოვაჩევიჩის მიერ თავით დაგდებული ბურთი კლაუდიო ლოპესმა ახლო მანძილიდან კარს ააცილა. მენდიეტას შორიდან დარტყმული ჯერ მეკარეს, შემდეგ კი ძელს მოხვდა. ფერნანდუ კოუტუმ ორჯერ მოსინჯა მატეა კეჟმანის ძვალ-რბილი. ერთხელ გვერდიდან ჩაწიხლა, მეორედ ფეხში ჰკრა, მაგრამ კეჟმანმა ტკივილს გაუძლო. 38-ე წუთზე დიეგო სიმეონემ ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად სტანკოვიჩი შევიდა. მისი შესვლა და კევინ ჰოფლანდის მიერ გოლის გატანა ერთი იყო.

სტუმრებმა მხოლოდ მეორე ნახევარში, პობორსკისა და სიმონე ინძაგის გამოჩენის შემდეგ შეძლეს ნაღდი საგოლე მომენტის შექმნა. ჩეხის პასით ინძაგი კრალთან პირისპირ დარჩა. მეკარემ იტალიელი აშკარად მოცელა, თუმცა შოტლანდიელმა მსაჯმა სიმონეს პროტესტი ყურად არ იღო და თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. მატჩის შემდეგ მსაჯის ამ გადაწყვეტილებამ სერჯო კრანიოტი განარისხა. მისი აზრით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა იმსჯელოს იტალიური გუნდების ევროთასებზე დაჩაგვრის თაობაზე. „ასეთი შეცდომები არბიტრს არ უნდა შევარჩინოთ და ხმა უნდა ავიმაღლოთ“ — ბრძანა კრანიოტიმ, სიმონე ინძაგიმ კი კვერი დაუკრა: „მსაჯი სამიოდ მეტრში იდგა და შეუძლებელია, წესის დარღვევა არ შეენიშნა. ვფიქრობ, მან პენალტი შეგნებულად არ დანიშნა“.

**ნანტი 0:1 გალათასარაი**

0:1 სერგენი (78)
ნანტი: ლანდრო, არმანი, ფაბრი, დელომო, დეროფი, ოლემბე, ბერსონი, დალმა, კუინტე, დევინო (ჯეემბა 70), აჰამადა
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გალათასარაი: მონდრაგონი, ემრე ასიქი, არიფი (სერგენი 56), სუატი (ფლურკინი 65), ბიულენთ აკინი, პერესი, კაპონე, სერქანი, ჰაქან უნსალი, ერგუნი (უმით კარანი 77), ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
28 000 მაყურებელი

**მირჩა** ლუჩესკუმ, ალბათ, უფრო „ეინდჰოვენთან“ გაცუდებული მომენტების გამო უმით კარანი ძირითადში არ დააყენა, მაგრამ გოლი უმით კარანის შესვლიდან ერთ წუთში გავიდა. მისი ავტორი ამ ზაფხულს „ტრაბზონიდან“ „გალაში“ გადაბარგებული, თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი სერგენი გახდა. სასტარტოში არც ეს უკანასკნელი იმყოფებოდა.

ლუჩესკუმ იცოდა, რომ მეტოქე შესუსტებული იყო, „ნანტს“ ძირითადის ხუთი ფეხბურთელი აკლდა და ტაქტიკაც ამის გათვალისწინებით აირჩია. დაცვაში გამაგრდა და მასპინძლებს მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა.

მეორე ტაიმში მოედანზე არიფის ნაცვლად სერგენის შესვლის შემდეგ „გალამ“ თამაში უფრო დაალაგა. ნანტელთა იერიშებს კი შედეგი არა და არ მოჰქონდა. თურქები თავის დროს ელოდნენ, რომელიც 78-ე წუთზე დადგა. ერთადერთი გოლის წყალობით „გალათასარაიმ“ იმარჯვა და „ნანტს“ კვალში ჩაუდგა.

„ნანტმა“ „გალასთან“ ქულის აღებაც კი ვერ მოახერხა და ეს მას შემდეგ, რაც „ეინდჰოვენი“ და „ლაციო“ წააქცია, ჩემპიონატში მძივივით აწყობილ წარუმატებელ სერიას ლიგაში მარცხიც მოაყოლა. როგორც იტყვიან, კიდევ ერთი გამარჯვებისთვის ვაზნები აღარ ექო. ახლა ჯგუფში სამი ექვსქულიანი გუნდია, რაც შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ბრძოლას უფრო საინტერესოს ხდის, მით უმეტეს, ამ სამმა თავიდან ფავორიტად მიჩნეული „ლაციო“ გზიდან სულ კინწისკვრით ჩამოიცილეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ლაციო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |



REUTERS

პსვ — ლაციო. სტუმართა არგენტინელი დიეგო სიმეონე ისე წაიქცა, შესაცვლელი შეიქნა




ხოსეპ გვარდიოლა უკვე ბრეშელია

# მიიღე რასაც ეძებდი, მორჩი და მოისვენე

**ხოსეპ გვარდიოლამ** ფართო საზოგადოებას აუხსნა, თუ რატომ ირჩია „ბრეშა“.

პირველი: მას ყოველთვის სურდა იტალიაში თამაში, უპირველესად ტრიბუნებზე არსებული განსაკუთრებული გარემოს გამო.

მეორე: იგი აღფრთოვანებულია რობერტო ბაჯოთი და იტალიელის გვერდით ყოფნა პროგრესირების კარგ შანსს მისცემს (30 წლის ასაკში!).

მესამე: გვარდიოლას სასწრაფოდ უნდა მოეძებნა ახალი კლუბი იმისთვის, რომ სათამაშო პრაქტიკა შეენარჩუნებინა და ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის ხოსე ანტონიო კამაჩოს თვალთახედვიდან არ დაკარგულიყო.

„ბარსელონას“ ყოფილი კაპიტნის 12-წლიანი კარიერა კატალონიაში, შეგახსენებთ, ივნისში დასრულდა. ჯერ კიდევ 1980 წელს ხოსეპ გვარდიოლა ხშირ-ხშირად აკითხავდა „კამპ ნოუს“, სადაც მატჩის მსვლელობისას სიამოვნებით აწვდიდა ბურთს თავის მაშინდელ კერპებს. შემდგომში იგი „ბარსას“ ფარმკლუბში, „ლა მასიუში“ გამოდიოდა. 1992 წელს „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში 20 შეხვედრა ჩაატარა და ნაკრებშიც გამოიძახეს. მისი დებიუტი ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩში შედგა.

„კლუბში ცარიელი ჯიბით მივედი, დღეს კი ოჯახს ვინახავ. ვამაყობ იმით, რომ გავიზარდე ბარსელონაში, მაგრამ როცა 30 წელი შეგისრულდება, კარიერის დასრულებაზე უნდა იფიქრო“. ასე მსჯელობდა გვარდიოლა „ბარსელონადან“ წასვლის შემდეგ.

მისი კონტრაქტი „ბრეშასთან“ ერთწლიანია, შემდგომში გაგრძელების უფლებით. „ბევრი კლუბი მეპატიჟებოდა, თუმც „ბრეშამ“ ყველაზე მეტად გამოიჩინა ინტერესი ჩემდამი და ამაში მეც დამარწმუნა“ — ბრძანა იტალიური კლუბის ახალწვეულმა. მანვე აღნიშნა, რომ მიუხედავად სამთვიანი უთამაშებლობისა, გამუდმებით ვარჯიშობდა ფორმის შესანარჩუნებლად და ძირითადში დასამკვიდრებლად ბრძოლისა არ ეშინია.

„ბრეშას“ მწვრთნელი, ყველაზე მხცოვანი იტალიის სერია A-ში, კარლო მაცონე (იგი 64 წლისაა), ამ შენაძენით დიდად გახარებული სულაც არა არის: „იგი უდიდესი ფეხბურთელია, თავის პოზიციაზე ბადალი არ ჰყავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგივე პოზიციაზე მოთამაშეთა ნაკლებობას არც ჩვენ განვიცდით, მაგრამ რადგან პრეზიდენტმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, გვარდიოლას არანაირი პრობლემა არ შეექმნება“.

გვარდიოლას სხვა ცნობილი ევროპული კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან რობერტო ბაჯოსთან ყოფნა ამჯობინა. თვითონ რობერტო ამ სეზონის მერე კარიერის დასრულებას აპირებს. ასე რომ, ორ უდიდეს ფეხბურთელს სულ რამდენიმე თვით ეძლევათ შანსი, ერთად სცადონ სერია A-ს გრანდთა დაწიოკება.

გვარდიოლა კი ფრთხილობს: „არ ვიცი, როგორ აეწყობა ამ კლუბში ჩემი საქმეები. ამიტომაც არ მინდა მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმება. შედარებით სახელიან გუნდში რომ გადავსულიყავი, უეჭველად უფრო გრძელვადიან კონტრაქტზე დავთანხმდებოდი. „ბრეშაში“ ჯერჯერობით ნიადაგს მოვსინჯავ და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, რაღა თქმა უნდა, კარიერას აქაც სიამოვნებით დავასრულებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სიმონე თავადებს დაეთხოვა და შავ-წითლებს მიეთხოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარკო სიმონემ ისევ „მილანის“ მაისურა მოირგო

**...შეგნებულად** მოიტყუა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ, თუ არა, ნამდვილად ვერ გეტყვით მაგრამ ორიოდ დღის წინ თავად განაცხადა, რადგან ვიტალი კუტუზოვი შევიძინეთ, მარკო სიმონეს ტრანსფერი ჩაიშალაო. ეს ყოველივე გაუწყეთ კიდეც. რა უფლება გვაქვს, სინიორ გალიანის სიტყვებში ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ ფაქტი იმაზე ღაღადებს, რომ 32 წლის იტალიელი ფეხბურთელი მარკო სიმონე გუშინდლიდან ოფიციალურად „მილანის“ ფეხბურთელად ითვლება. „სიმონე „მონაკოსგან“ სეზონის ბოლომდე ვინათხოვრეთ“ — ახლა ასე აცხადებს გალიანი. ამასვე ადასტურებს „მონაკოს“ პრეზიდენტი ჟან ლუი კამპორაც.

ერთი სიტყვით, მარკო სიმონე დაბრუნდა გუნდში, სადაც თავისი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. კაპელოსეულ „მილანში“ სიმონე მარკო ვან ბასტენის, რუუდ გულიტისა და დანიელე მასაროს, შემდეგ კი ჟან პიერ პაპენის გვერდით თამაშობდა. რვა სეზონის მანძილზე „მილანის“ მაისურით 245 მატჩი ჩაატარა და 74 გოლი შეაგდო.

სიმონემ „მილანი“ ოთხი წლის წინ დატოვა, საფრანგეთს მიაშურა და „პარი სენ ჟერმენში“ ჩაირიცხა, ორი წლის მერე კი „მონაკოში“ ამოყო თავი. იგი სათავადოს გუნდის ლიდერი გახდა. საქმეები კი მას მერე აერია, რაც „მონაკოს“ მწვრთნელად დიდიე დეშანი დაინიშნა. დეშანმა გუნდში ოლივერ ბირჰოფიც რომ მიიწვია, სიმონემ ყველაფერი დაკარგა — ლიდერობა, კაპიტნობა და ძირითადის ადგილიც.

ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა, საბოლოოდ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მონაკომ“ სიმონე „მილანს“ სეზონის ბოლომდე ათხოვა.

| 3 | ვიკინგი სტავანგერი (3) | 4:3 | 3:2 | | 28.10 | 0:2 | : | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 2:2 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 22 | 13 | 5 | 4 | 39:25 | 44 | 8 | 2 | 1 | 22:11 | 26 | 5 | 3 | 3 | 17:14 | 18 |
| 4 | მოლდე (7) | 1:1 | : | 2:1 | | 21.10 | 1:4 | 6:1 | 1:1 | 3:2 | 3:2 | 4:1 | 3:0 | 4:3 | 5:0 | 22 | 12 | 4 | 6 | 51:35 | 40 | 8 | 2 | 1 | 33:16 | 26 | 4 | 2 | 5 | 18:19 | 14 |
| 5 | ბრანი ბერგენი (2) | 28.10 | 1:1 | 14.10 | 0:0 | | 8:1 | 3:1 | 1:0 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 6:2 | 3:1 | 3:4 | 22 | 11 | 5 | 6 | 57:36 | 38 | 7 | 3 | 1 | 31:14 | 24 | 4 | 2 | 5 | 26:22 | 14 |
| 6 | სტაბეკი ბეკესტუა (5) | 3:0 | 3:2 | 0:3 | 14.10 | 2:1 | | 1:0 | 28.10 | 4:0 | 2:5 | 2:1 | 4:0 | 0:3 | 4:0 | 22 | 12 | 2 | 8 | 41:36 | 38 | 8 | 0 | 3 | 25:15 | 24 | 4 | 2 | 5 | 16:21 | 14 |
| 7 | ოდ გრენლანდი სკიენი (8) | 0:1 | 4:1 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 3:0 | | 3:1 | 3:0 | 2:2 | 0:5 | 28.10 | 14.10 | 4:1 | 21 | 9 | 4 | 8 | 37:33 | 31 | 6 | 2 | 3 | 23:15 | 20 | 3 | 2 | 5 | 14:18 | 11 |
| 8 | მოსი (9) | 0:3 | 21.10 | 1:3 | 0:1 | 2:3 | 1:3 | : | | 1:2 | 3:1 | 2:0 | 1:1 | 3:1 | 2:1 | 22 | 8 | 2 | 12 | 31:41 | 26 | 4 | 1 | 6 | 16:19 | 13 | 4 | 1 | 6 | 15:22 | 13 |
| 9 | სოგნდალი (დ) | 1:6 | 2:2 | 0:1 | 3:4 | 4:3 | 1:0 | 3:3 | 3:1 | | 1:0 | 28.10 | 5:1 | 0:3 | 14.10 | 22 | 7 | 4 | 11 | 36:51 | 25 | 5 | 2 | 4 | 23:24 | 17 | 2 | 2 | 7 | 13:27 | 8 |
| 10 | ლინი (დ) | 1:1 | 0:2 | 1:1 | 0:2 | 3:2 | 1:1 | 1:2 | 14.10 | 1:1 | | 2:1 | 2:2 | 4:0 | 28.10 | 22 | 5 | 7 | 10 | 35:41 | 22 | 3 | 5 | 3 | 16:15 | 14 | 2 | 2 | 7 | 19:26 | 8 |
| 11 | ბოდიო გლიმტი ბოდიო (10) | 1:4 | 1:2 | 21.10 | 3:2 | : | 2:2 | 1:1 | 0:2 | 2:2 | 5:2 | | 2:2 | 1:0 | 0:0 | 22 | 4 | 8 | 10 | 32:41 | 20 | 3 | 5 | 3 | 18:19 | 14 | 1 | 3 | 7 | 14:22 | 6 |
| 12 | სტრიომსგოდსეტი დრამენი (დ) | 2:5 | 1:2 | 3:3 | 1:1 | 2:6 | 2:1 | 0:2 | 2:4 | 21.10 | 3:3 | 14.10 | | 0:0 | 4:0 | 22 | 3 | 8 | 11 | 34:62 | 17 | 2 | 4 | 5 | 20:27 | 10 | 1 | 4 | 6 | 14:35 | 7 |
| 13 | ტრომსიო იდრეტსლაგი (4) | 1:3 | 0:3 | 1:0 | 0:2 | 2:0 | 0:2 | 0:3 | 0:1 | : | 21.10 | 1:1 | 0:1 | | 2:2 | 22 | 4 | 3 | 15 | 18:43 | 15 | 2 | 2 | 7 | 7:18 | 8 | 2 | 1 | 8 | 11:25 | 7 |
| 14 | ბრინი (11) | 1:2 | 0:5 | 1:3 | 4:3 | 0:3 | 0:1 | 21.10 | 1:4 | 2:3 | 1:2 | 2:1 | : | 3:0 | | 22 | 4 | 3 | 15 | 24:55 | 15 | 3 | 0 | 8 | 15:27 | 9 | 1 | 3 | 7 | 9:28 | 6 |

## შვეიცარია. A ჯგუფი. 2001-02. XIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.09.01 | 19.45 | 329 | 0:0ლუგანო; 1:4სენტ გალენი; აარაუ2:1 **იანგ ბოისი V ლოზანა** 1:3ბაზელი; სენტ გალენი1:1; სერვეტი0:3 | 1,65 | 3,2 | 5,0 | | | | 3:2 | - | - | 0:1 2:2 |
| 29.09.01 | 22.30 | 330 | 1:4ქსამაქსი; 1:4ბაზელი; ციურიხი3:0 **ლუცერნი V აარაუ** გრასჰოპერი1:0; ლუგანო3:1; 1:2იანგ ბოისი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | 2:3 | 0:0 3:3 | 2:1 0:1 | 2:2 0:0 |
| 29.09.01 | 22.30 | 331 | 1:2ბაზელი; 0:0ციურიხი; ლოზანა1:0 **სიონი V ქსამაქსი** ლუცერნი4:1; გრასჰოპერი1:4; 1:3ლუგანო | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | 0:0 | 2:1 0:1 | - | 1:1 1:3 |
| 30.09.01 | 19.15 | 332 | 0:1აარაუ; 4:1ქსამაქსი; ბაზელი1:0 **გრასჰოპერი V ლუგანო** იანგ ბოისი0:0; 1:3აარაუ; ქსამაქსი3:1 | 1,6 | 3,3 | 5,3 | | | | 3:5 | 0:3 0:2 0:0 1:1 | 2:1 5:1 | 3:2 1:1 |
| 30.09.01 | 19.15 | 333 | 1:1ლოზანა; იანგ ბოისი4:1; 2:1სერვეტი **სენტ გალენი V ციურიხი** სერვეტი0:3; სიონი0:0; 0:3ლუცერნი | 1,9 | 3,1 | 3,6 | | | | 2:3 | 0:0 2:0 1:0 1:0 | 3:0 3:1 | 0:0 1:3 2:0 1:3 |
| 01.10.01 | 22.30 | 334 | 3:0ციურიხი; 3:0ლოზანა; სენტ გალენი1:2 **სერვეტი V ბაზელი** ლოზანა3:1; სიონი2:1; ლუცერნი4:1 | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | 1:3 | 1:1 2:1 3:0 1:1 | 1:1 0:0 0:1 1:1 | 3:1 2:0 2:1 0:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სერვეტი ჟენევა (6) | | 1:1 | 24.11 | : | 13.10 | 3:0 | 1:0 | 0:2 | 1:2 | 2:0 | 09.12 | 27.10 | 12 | 6 | 3 | 3 | 20:11 | 21 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| 2 | გრასჰოპერი ციურიხი (3) | 03.11 | | 20.10 | 1:0 | 1:0 | 1:1 | : | | 6:1 | 09.12 | 1:2 | 6:0 | 12 | 6 | 2 | 4 | 28:15 | 20 | 4 | 1 | 1 | 16:4 | 13 | 2 | 1 | 3 | 12:11 | 7 |
| 3 | სიონი (7) | 1:3 | 2:1 | | 8:1 | 0:1 | 27.10 | 13.10 | 09.12 | | : | 1:0 | 3:1 | 12 | 6 | 2 | 4 | 20:12 | 20 | 4 | 0 | 2 | 15:7 | 12 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| 4 | ბაზელი (5) | 3:1 | 02.12 | 2:1 | | 24.11 | 3:1 | 5:1 | 20.10 | 10.10 | 27.10 | 3:1 | 4:1 | 12 | 6 | 2 | 4 | 25:22 | 20 | 6 | 0 | 0 | 20:6 | 18 | 0 | 2 | 4 | 5:16 | 2 |
| 5 | აარაუ (9) | 1:1 | 1:0 | 10.10 | 1:1 | | 02.12 | 3:1 | 2:3 | 20.10 | | 03.11 | 3:2 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| 6 | იანგ ბოისი ბერნი (დ) | | 10.10 | 3:2 | 03.11 | 2:1 | | 1:1 | 1:1 | 09.12 | 2:0 | : | 20.10 | 12 | 5 | 4 | 3 | 19:18 | 19 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 11 | 2 | 2 | 3 | 10:13 | 8 |
| 7 | ლუგანო (1) | 20.10 | 5:3 | 0:1 | | 09.12 | 0:0 | | 1:1 | 03.11 | 3:1 | 2:1 | 10.10 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:18 | 18 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 |
| 8 | ციურიხი (8) | 0:3 | 1:3 | 0:0 | 2:0 | 27.10 | 14.10 | 24.11 | | 3:2 | 1:1 | 10.10 | 02.12 | 12 | 4 | 5 | 3 | 15:17 | 17 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 | 2 | 3 | 1 | 8:8 | 9 |
| 9 | სენტ გალენი (2) | 02.12 | 27.10 | 0:1 | 3:3 | 1:1 | 4:1 | 0:1 | : | | 14.10 | 3:0 | 24.11 | 12 | 4 | 3 | 5 | 20:22 | 15 | 2 | 2 | 2 | 11:7 | 8 | 2 | 1 | 3 | 9:15 | 7 |
| 10 | ქსამაქსი ნოიშატელი (11) | 10.10 | 1:4 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 24.11 | 02.12 | 03.11 | 3:0 | | 20.10 | 4:1 | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 | 0 | 3 | 3 | 3:9 | 3 |
| 11 | ლოზანა სპორტსი (4) | 0:3 | 24.11 | 02.12 | 14.10 | 0:3 | 2:3 | 27.10 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 3:2 | 12 | 2 | 3 | 7 | 12:24 | 9 | 1 | 3 | 3 | 8:14 | 6 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |
| 12 | ლუცერნი (12) | 1:1 | 13.10 | 03.11 | 09.12 | : | 0:4 | 1:2 | 3:0 | 1:3 | 0:0 | | | 12 | 1 | 2 | 9 | 13:33 | 5 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 | 0 | 0 | 6 | 7:23 | 0 |

## შვეიცარია. B ჯგუფი. 2001-02. XV ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.09.01 | 20.30 | 335 | 1:3თუნი; 0:3კრიენსი; ბელინცონა0:3 **კონკორდია V კარუჟი** ლოკარნო0:0; ვილი2:1; 1:2დელემონი | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | 2:2 | - | - | - |
| 29.09.01 | 20.30 | 336 | 0:3ვილი; 1:2ვინტერთური; კარუჟი2:1 **დელემონი V ბადენი** ვინტერთური2:4; 3:3ვადუცი; 1:3ივერდონი | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | 2:2 | 3:0 0:0 | 2:0 3:0 | - |
| 29.09.01 | 20.30 | 337 | 4:2ბადენი; დელემონი2:1; 2:1ვადუცი **ვინტერთური V ბელინცონა** ვადუცი2:1; ივერდონი0:1; 3:0კონკორდია | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | 3:1 | 1:0 2:2 0:0 3:1 | 0:2 0:1 | - |
| 30.09.01 | 19.15 | 338 | 0:0კარუჟი; 0:0თუნი; კრიენსი2:1 **ლოკარნო V ვილი** დელემონი3:0; 1:2კარუჟი; თუნი2:4 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | 1:4 | 1:2 1:4 | - | - |
| 30.09.01 | 19.15 | 339 | 1:2ბელინცონა; ბადენი3:3; ვინტერთური1:2 **ვადუცი V კრიენსი** ივერდონი1:3; კონკორდია3:0; 1:2ლოკარნო | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | 1:2 | - | - | - |
| 30.09.01 | 19.15 | 340 | 3:1კრიენსი; 1:0ბელინცონა; ბადენი3:1 **ივერდონი V თუნი** კონკორდია3:1; ლოკარნო0:0; 4:2ვილი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | 2:4 | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვინტერთური (3) | | | 3:1 | 2:4 | 3:4 | 0:0 | 2:1 | : | 2:1 | 2:2 | | | 14 | 9 | 3 | 2 | 34:24 | 30 | 3 | 2 | 2 | 14:13 | 11 | 6 | 1 | 0 | 20:11 | 19 |
| 2 | თუნი (4) | 3:3 | | 2:2 | | 4:2 | 0:2 | | | 3:0 | 10.10 | 0:0 | 3:1 | 14 | 7 | 4 | 3 | 25:20 | 25 | 3 | 3 | 1 | 15:10 | 12 | 4 | 1 | 2 | 10:10 | 13 |
| 3 | ვილი (2) | | 2:4 | | 2:1 | 1:2 | | 3:0 | 3:0 | 4:1 | | 4:1 | 10.10 | 14 | 7 | 2 | 5 | 32:22 | 23 | 5 | 0 | 2 | 19:9 | 15 | 2 | 2 | 3 | 13:13 | 8 |
| 4 | ბადენი (9) | 2:4 | 1:1 | | | 0:0 | | 2:2 | 2:0 | 1:1 | 5:0 | | 4:0 | 14 | 5 | 5 | 4 | 31:21 | 20 | 3 | 4 | 1 | 17:8 | 13 | 2 | 1 | 3 | 14:13 | 7 |
| 5 | ივერდონი სპორტსი ივერდონ ლე ბენი (დ) | | : | | 3:1 | | 0:0 | | 2:2 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 1:3 | 14 | 5 | 5 | 4 | 21:21 | 20 | 1 | 4 | 2 | 8:9 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:12 | 13 |
| 6 | კრიენსი (7) | 10.10 | | 0:2 | 1:4 | 1:3 | | 3:0 | | | 2:1 | 1:0 | 3:0 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:19 | 20 | 4 | 0 | 3 | 11:10 | 12 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| 7 | დელემონი (6) | 0:1 | 3:0 | 1:3 | : | 3:1 | | | 1:0 | 2:1 | | 10.10 | | 14 | 5 | 3 | 6 | 16:20 | 18 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 12 | 1 | 3 | 4 | 6:14 | 6 |
| 8 | ბელინცონა (5) | 1:3 | 0:2 | | 10.10 | 0:1 | 3:1 | | | | 2:1 | 3:1 | 3:3 | 14 | 5 | 2 | 7 | 18:22 | 17 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| 9 | ეტუალ კარუჟი (11) | | | 2:1 | | 10.10 | 2:1 | 0:0 | 2:0 | | 0:2 | 0:0 | 2:2 | 14 | 4 | 5 | 5 | 14:19 | 17 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 12 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| 10 | ვადუცი (დ) | 1:2 | 4:1 | 3:2 | 3:3 | | : | 2:2 | 0:1 | | | 1:3 | | 14 | 4 | 4 | 6 | 26:29 | 16 | 2 | 2 | 3 | 14:14 | 8 | 2 | 2 | 3 | 12:15 | 8 |
| 11 | ლოკარნო (8) | 2:4 | 0:1 | : | 2:1 | | 2:1 | 0:1 | | 0:0 | | | 2:3 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 13 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| 12 | კონკორდია (დ) | 2:3 | 0:1 | 2:2 | | | 2:3 | 2:0 | 0:3 | : | 3:5 | | | 14 | 3 | 3 | 8 | 23:35 | 12 | 1 | 1 | 5 | 11:17 | 4 | 2 | 2 | 3 | 12:18 | 8 |

## პოლონეთი. „ა" და „ბ" ჯგუფები. 2001-02. X ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28.09.01 | 22.00 | 282 | 2:1ოსტროვიეცი; პოლონია0:0; 1:3ზაგლებე **გერნიკი V ოდრა** ზაგლებე3:0; 2:4კატოვიცე; ოსტროვიეცი2:1 | 2,2 | 3,2 | 2,9 | | | | 0:1 | 0:0 1:1 | 3:3 0:2 | 1:0 0:1 |
| 29.09.01 | 19.00 | 283 | 0:3ოდრა; ვიძევი2:0; 1:2ოსტროვიეცი **ზაგლებე V ოსტროვიეცი** გერნიკი1:2; 1:0ვისლა; ზაგლებე2:1 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | 1:2 | - | - | - |
| 30.09.01 | 18.30 | 284 | 0:2პოლონია; ოსტროვიეცი0:1; 5:1კატოვიცე **ვისლა V ვიძევი** კატოვიცე2:0; 0:2ზაგლებე; 1:0კატოვიცე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1,8 | 3,3 | 2,8 | 2:3 | 2:2 0:3 | 4:3 3:1 | 3:1 0:1 |
| 30.09.01 | 19.00 | 286 | 0:2ვიძევი; ოდრა4:2; ვიძევი0:1 **კატოვიცე V პოლონია** ვისლა2:0; 0:0გერნიკი; 3:0ვიძევი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | 2:1 | 0:0 1:1 | - | 1:3 0:2 |
| 29.09.01 | 18.30 | 287 | 0:3რუხი; რადომსკო2:1; 0:3ლეგია **პოგონი V ამიკა** ლეგია1:2; 1:1გროცლინი; რუხი2:0 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | 1:1 | 2:1 2:1 | 2:2 0:3 | 3:2 0:2 |
| 29.09.01 | 19.00 | 288 | 3:4შლიონსკი; ამიკა1:1; სტომილი2:0 **გროცლინი V რადომსკო** სტომილი2:0; 1:2პოგონი; 0:0შლიონსკი | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | 1:0 | | - | - |
| 29.09.01 | 19.00 | 289 | 0:2რადომსკო; რუხი0:1; 0:2გროცლინი **სტომილი V შლიონსკი** გროცლინი4:3; 4:3ლეგია; რადომსკო0:0 | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | 2:1 | 1:0 1:2 | - | - |
| 30.09.01 | 20.00 | 290 | 2:1ამიკა; შლიონსკი3:4; პოგონი3:0 **ლეგია V რუხი** პოგონი3:0; 1:0სტომილი; 0:2ამიკა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 2,0 | 3,0 | 2,4 | 4:0 | 4:1 1:0 | 3:1 1:0 | 2:0 1:0 |

| № | „ა" ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პოლონია ვარშავა (4) | | 2:0 | 2:2 | | 13.10 | 1:2 | 4:1 | | 9 | 4 | 4 | 1 | 16:8 | 16 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| 2 | ვისლა კრაკოვი (1) | 2:2 | | 1:0 | 4:0 | 0:1 | | 13.10 | : | 9 | 5 | 1 | 3 | 17:10 | 16 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 9 |
| 3 | ოდრა ვოძისლავი (9) | | | | 3:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 9 | 5 | 1 | 3 | 16:12 | 16 | 5 | 0 | 0 | 11:2 | 15 | 0 | 1 | 3 | 5:10 | 1 |
| 4 | ზაგლებე ლუბინი (5) | 1:1 | | 3:1 | | : | 13.10 | 3:1 | 2:0 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:13 | 13 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| 5 | ოსტროვიეცი სვეტოკჟისკი (დ) | 0:1 | 0:1 | | 2:1 | | | 1:2 | 3:0 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:9 | 11 | 2 | 0 | 3 | 6:5 | 6 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| 6 | გკს კატოვიცე (8) | : | 1:5 | 4:2 | 1:0 | 2:2 | | | 0:1 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:17 | 11 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| 7 | გერნიკი ზაბჟე (13) | 0:0 | 1:2 | : | | 0:0 | 1:1 | | | 9 | 2 | 3 | 4 | 8:13 | 9 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| 8 | ვიძევი ლოძი (12) | 0:3 | 3:2 | 13.10 | 0:2 | | 2:0 | 1:2 | | 9 | 3 | 0 | 6 | 7:16 | 9 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 | 1 | 0 | 3 | 1:7 | 3 |

| № | „ბ" ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ამიკა ვრონკი (6) | | 1:2 | 1:1 | 13.10 | 3:0 | 2:0 | | 3:2 | 9 | 5 | 3 | 1 | 17:10 | 18 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| 2 | ლეგია დეე ვარშავა (3) | 1:2 | | 3:0 | 3:4 | 1:1 | : | 2:1 | | 9 | 5 | 1 | 3 | 22:11 | 16 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 7 | 3 | 0 | 1 | 12:3 | 9 |
| 3 | პოგონი შჩეცინი (2) | : | | | 2:1 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 13.10 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:10 | 15 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 4 | შლიონსკი ვროცლავი (11) | 1:2 | 1:0 | | | 4:3 | | 0:0 | 1:2 | 9 | 4 | 2 | 3 | 18:16 | 14 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 | 2 | 1 | 1 | 11:9 | 7 |
| 5 | გროცლინი გროძისკ ველოპოლსკი (10) | 1:1 | 13.10 | | 2:4 | | 4:1 | : | 2:0 | 9 | 3 | 2 | 4 | 14:15 | 11 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 6 | რუხი ხოჟუვი (7) | | 0:4 | 3:0 | 2:2 | | | 13.10 | 2:1 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:14 | 11 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 | 1 | 1 | 3 | 2:7 | 4 |
| 7 | რადომსკო (დ) | 2:2 | | 0:3 | | 0:1 | 1:0 | | 2:0 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| 8 | სტომილი ოლშტინი (14) | | 1:6 | 1:1 | : | | 0:1 | 0:0 | | 9 | 1 | 2 | 6 | 7:18 | 5 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 | 1 | 0 | 4 | 5:10 | 3 |

## საბერძნეთი. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. II ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.09.01 | 20.45 | 263 | 0:2აკრატიტოსი; **ქსანთი V პანაჰაიკი** ეგალეო5:3; | 1,8 | 3,0 | 4,2 | | | | : | 1:1 1:0 | 1:0 1:1 | - |
| 30.09.01 | 19.00 | 264 | ირაკლისი3:0; **ოლიმპიაკოსი V პანიონიოსი** პანათინაიკოსი2:2; | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1,4 | 3,6 | 4,0 | - | 1:2 2:0 | 5:0 1:0 | 5:0 4:1 |
| 30.09.01 | 19.00 | 266 | 0:2ოფი; **ეთნიკოსი V აკრატიტოსი** ქსანთი2:0; | 1,7 | 3,0 | 5,0 | | | | - | - | - | - |
| 30.09.01 | 19.00 | 267 | 1:1პაოკ; **არისი V იონიკოსი** აეკ1:2; | 1,7 | 3,0 | 5,0 | | | | - | 1:2 0:0 | 1:1 2:2 | 1:1 0:3 |
| 30.09.01 | 19.00 | 268 | 2:1იონიკოსი; **აეკ V ეგალეო** 3:5პანაჰაიკი; | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1,4 | 3,6 | 4,0 | | - | - | - |
| 30.09.01 | 20.45 | 270 | 2:2პანიონიოსი; **პანათინაიკოსი V ოფი** ეთნიკოსი2:0; | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1,5 | 3,5 | 3,5 | - | 0:0 2:0 | 4:3 3:2 | 1:0 3:2 |
| 30.09.01 | 23.45 | 272 | 0:3ოლიმპიაკოსი; **ირაკლისი V პაოკ** არისი1:1; | 2,4 | 2,9 | 2,8 | | | | - | 1:1 2:4 | 3:1 0:4 | 1:2 1:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი პირეოსი (1) | | | | | | | : | | | 14.10 | | 28.10 | | 3:0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 2 | პანაჰაიკი პატრა (13) | | | | 21.10 | | | | | | | 5:3 | | 07.10 | | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 3 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3 | აკრატიტოსი (დ) | | 28.10 | | | | 07.10 | | | | | | 2:0 | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | ოფი კრეტა (11) | | | 14.10 | | 28.10 | | | | | | | | 2:0 | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 5 | აეკ ათენი (3) | | | 04.11 | | | 21.10 | | | | | : | 07.10 | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 6 | პანათინაიკოსი ათენი (2) | | 14.10 | | : | | | | | 28.10 | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 7 | პანიონიოსი პანიონიოსი (9) | | 04.11 | 21.10 | 07.10 | | 2:2 | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 8 | პაოკ სალონიკი (4) | 07.10 | | | | | | 14.10 | | 1:1 | | 28.10 | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | არისი სალონიკი (7) | | | | 04.11 | | | | | | : | | 14.10 | 21.10 | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 10 | იონიკოსი ნიკეა პირეასი (6) | | | | | 1:2 | | 28.10 | 21.10 | | | | | | 07.10 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | ეგალეო (დ) | 21.10 | | | | | | | | 07.10 | 04.11 | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 3:5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3:5 | 0 |
| 12 | ქსანთი ქსანთი (8) | | : | | | | | | 04.11 | | | | | | 21.10 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 13 | ეთნიკოსი პირეოსი (10) | 04.11 | | : | | 14.10 | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 14 | ირაკლისი სალონიკი (5) | | | | | | 04.11 | | : | | | 14.10 | | 28.10 | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

გუშინწინ ჩემპიონთა ლიგაში ქართველმა ითამაშა. პსვ-ს ნახევარმცველმა გოგა გახოკიძემ ჯგუფის უდავო ფავორიტად მიჩნეულ, თუმც ახლა სენსაციურად ბოლო ადგილზე მყოფ რომის „ლაციოსთან“ ბოლო 17 წუთი დაჰყო მოედანზე. მასპინძელთა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა ჩვენებური რომედალის ნაცვლად ათამაშა და ჩვეულ ამპლუაში, მარცხენა ჰავბეკად გაამწესა.

[illegible] გახოკიძეს. ერთი-ორჯერ საკმაოდ გაამწვავა პსვ-ს შეტევა და თანაგუნდელ მცველებსაც დროულად შეეშველა, საჯარიმოც სახიფათოდ დაარტყა და რომაელებიც აანერვიულა.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 6 ოქტომბერი

## რუმინეთი — საქართველო

# ჩივაძე და ნაკრები ბუქარესტში მოვალეობას შეასრულებენ და ციკლიც დაუმთავრდებათ



ალექსანდრე ჩივაძე

**ერთ კვირაში** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს გამართავს. ჩვენებურებს ბუქარესტში 6 ოქტომბერს რუმინეთის ნაკრები დაუხვდება.

რუმინელებს ჯგუფში მეორე ადგილი და პლეი ოფში თამაში უკვე განაღდებული აქვთ, მაგრამ თუ ქართველებს მეორედაც დაამარცხებენ, იმავ დღეს კი უნგრეთი იტალიაში გაიმარჯვებს, ისინი ჯგუფში პირველები იქნებიან და კორეა-იაპონიაში გასამგზავრებლად გაემზადებიან.

საქართველოს ნაკრებისთვის კი ბუქარესტის მატჩის შედეგი არაფერსაც არ ნიშნავს, თუმც ეგაა, რომ რუმინეთის ბუქარესტში დამარცხება ჩვენებურებს პრესტიჟულ საქმედ ჩაეთვლებათ. მით უმეტეს, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ 28 მარტს რუმინელებმა მასპინძლები თბილისში შეარცხვინეს.

სამამტჩოდ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუშინ 20-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა:

*მეკარეები: დავით გვარამაძე (ტორპედო, ქუთაისი), გრიგოლ ჭანტურია (ბათუმი);*

*მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი, შოტლანდია), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ოთარ ხიზანეიშვილი (როსტსელმაში, როსტოვი, რუსეთი), ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), რევაზ ქემოკლიძე (ტორპედო), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, რიგა, ლატვია);*

*ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე (დანდი), გოგა გახოკიძე (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე (დერბი, ინგლისი), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე ფრაიბურგი, გერმანია), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), რატი ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლადო ბურდული (დინამო, თბილისი);*

*თავდამსხმელები: მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), შოთა არველაძე (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია).*

ჩივაძემ ამჯერად ნაკრებში არ გამოიძახა გერმანული „კიოლნის“ თავდამსხმელი არჩილ არველაძე, რომელმაც წლეულს ბუნდესლიგაში სულ ერთი ტაიმი ითამაშა. 20-კაციან შემადგენლობაში არც ესპანური „სოსიედადის“ თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძეა. როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ალექსანდრე ჩივაძემ გაითვალისწინა კლუბისა და თავად ფეხბურთელის თხოვნა. პრიმერადივიზიონში ორი მნიშვნელოვანი მატჩი გველის და თანაც „სოსიედადის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება შემიძლიაო, შემოუთვლია დემეტრაძეს და ჩივაძესაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. სამაგიეროდ, მწვრთნელმა ნაკრებში მიიწვია ტრავმირებული ოთარ ხიზანეიშვილი, თუმც ჩივაძეს მასთანაც უსაუბრია და ფეხბურთელს უთქვამს, არაფერი მაწუხებსო. არადა, „როსტსელმაშის“ ექიმმა ორიოდ დღის წინ განაცხადა, ხიზანეიშვილმა კოჭი იტკინა და დაახლოებით თვენახევარი თამაშს ვერ შეძლებსო.



გიორგი დემეტრაძე

საქართველოს ნაკრები რუმინელებთან სათამაშოდ 3 ოქტომბერს ბუქარესტშივე შეიკრიბება. საქართველოში, რუსეთსა და ლატვიაში მოთამაშენი თბილისიდან ჩარტერული რეისით გაფრინდებიან, სხვა ლეგიონერები კი ნაკრებს რუმინეთში უნდა დახვდნენ. გუნდი სასტუმრო „პლასა კრონაში“ იცხოვრებს. მატჩი ადგილობრივი დროით ათის თხუთმეტ წუთზე დაიწყება.

**ქობა ინასარიძე**

# გახოკიძის მარცხენამ ლაციოს მარჯვენა შეაჩერა
## ვინც სწავლობს, ის თამაშობს

— დაძაბული და საცქერლად, ალბათ, კარგი თამაში გამოდგა — გვითხრა გოგა გახოკიძემ, როცა ეინდჰოვენში დავუკავშირდით — მეტად საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ. თანაც ვის მოუგებ, ამასაც ხომ გააჩნია. ფავორიტად თითქმის ყველა „ლაციოს“ მიიჩნევდა, მაგრამ მოვინდომეთ და დავამარცხეთ, ვფიქრობ, დამსახურებულად.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ნორმალურად ვითამაშე. რაც მწვრთნელმა დამავალა, ყველაფერი შევასრულე. როცა მოედანზე ვიყავი, „ლაციოს“ ფაქტობრივად მარჯვენა ფლანგიდან მომენტი არ შეუქმნია, შეტევა არ წამოუწყია. მე კი ცოტა რომ გამმართლებოდა, ეგებ გოლიც გამეტანა.

**— მატჩის შემდეგ მწვრთნელთან ხომ არ გისაუბრია?**

— პირადად არა. ამ დილით მსუბუქად ვივარჯიშეთ და კლუბის უფროსობამ, მწვრთნელებმა ყველას მადლობა გადაგვიხადეს. ჩვენი თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ. ახლა კი შაბათის მატჩისთვის ვემზადებით, ჰოლანდიის ჩემპიონატს უნდა მივხედოთ. ცუდად დავიწყეთ, ექვსიდან მხოლოდ ორჯერ გავიმარჯვეთ.

**— სიტყვამ მოიტანა და ჩემპიონატში ასეთი წარუმატებლობის მიზეზი რა არის?**

— რა ვიცი, ვერაფერს გეტყვი. თითქოს კარგად ვთამაშობთ, ვჯაბნით მეტოქეებს, მაგრამ ვერ ვიგებთ. ბევრ რეალურ მომენტს ვაცუდებთ. „ლაციოს“ დამარცხების მერე, ალბათ, ჩემპიონატშიც გამოვასწორებთ მდგომარეობას.

**— ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან გუნდის მეორე ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდი?**

— ახლა, მეორე წრეში, „ლაციოს“ და შემდეგ „გალათასარაის“ უნდა ვესტუმროთ და ქულა მაინც თუ ავიღეთ, მერე, ალბათ, „ნანტს“ შინ მოვუგებთ და ეს, ვფიქრობ, საკმარისი იქნება მეორე ეტაპზე გასასვლელად. ისე კი, „ლაციო“ გამწარებულია და ვალში არავისთან დარჩება. მით უმეტეს, სამიდან ორი მატჩი შინ აქვს სათამაშო.

**— ეტყობა, მწვრთნელ გერეტსთან მოაწესრიგე ურთიერთობა.**

— კი, არანაირი პრობლემა. ინგლისური ენაც ვისწავლე და დღესდღეობით შემიძლია ვთქვა, რომ მწვრთნელთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს. ჩემი მომზადების დონით ის კმაყოფილია.

**— ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად როდიდან ითამაშებ?**

— ჰოლანდიის ჩემპიონატში ერთხელ უკვე ვითამაშე ძირითადში. ახლა ლიგაში და, მგონი, სასტარტო შემადგენლობაში მალე უნდა მოვიკიდო ფეხი. თანაც „ლაციოსთან“ მატჩისას კაპიტანი ვან გომელი სერიოზულად დაშავდა.

**ქობა ინასარიძე**



გოგა გახოკიძე

# პალანგას გამოვაკლოთ ორი, მივუმატოთ რვა
## ჭორჭიკაშვილი ევროპას კუს ტბიდან ხედავს

**15-19 ოქტომბერს** თბილისი ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს უმასპინძლებს. შეხვედრები ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდება. ქართველთა მეტოქეები კი ებრაელი და ბოსნიელი თანატოლები არიან. კობა ჭორჭიკაშვილმაც საქმეს ხელი მოჰკიდა და ნაკრების კანდიდატებს ყოველდღე კუს ტბაზე ავარჯიშებს. ნაკრების თავკაცის განკარგულებაში ამჟამად 22 ფეხბურთელია, თუმც მათი რაოდენობა მალე თვრამეტამდე შემცირდება.

შეგახსენებთ, რომ შუა აგვისტოში კობა ჭორჭიკაშვილის შეგირდებმა პალანგის საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და ფინალამდე მიაღწიეს, სადაც რუსეთის ნაკრებთან პენალტების სერიაში დამარცხდნენ. ნაკრების თავკაცმა პალანგაში წაყვანილი თექვსმეტი ფეხბურთელიდან ორზე — ამირან უგრეხელიძესა (სიონი, ბოლნისი) და დავით ლომაიაზე (მთვარის გლობუსი) ამჯერად უარი თქვა. დანარჩენ თოთხმეტს კი კვლავ უხმო შეკრებაზე. ერთადერთი, ვისი არყოფნაც ჭორჭიკაშვილს ეწყინა, ვასილ ლუჭაშვილია (35-ე სკოლა). ეს თავდამსხმელი ნაკრებს ტრავმის გამო ვერც პალანგაში გაჰყვა და ახლაც იმავე მიზეზით დააკლდება.

აი, ჭორჭიკაშვილის რჩეული 22 ფეხბურთელიც:

*მეკარეები: ზვიად ჩალაძე (ნორჩი დინამოელი), დავით ჯვარშეიშვილი (35-ე სკოლა), კახა ჯინჭარაძე (ვაკე-91);*

*მცველები: ლაშა ჭელიძე (ტორპედო), ზურაბ ბარაბაძე (ნორჩი დინამოელი), ბესარიონ მიქიაშვილი (ყაზბეგი), გიგა კუტივაძე (იმერეთი, ქუთაისი), ანზორ კალაძე (35-ე სკოლა), ალექსანდრე ლალაძე (იმერეთი, ქუთაისი);*

*ნახევარმცველები: გოჩა ხოჯავა (ყაზბეგი), ზაალ ელიავა (ყაზბეგი), ვალერი კაციტაძე (ნორჩი დინამოელი), ზურაბ კვახაძე (ნორჩი დინამოელი), გივი კაპანაძე (35-ე სკოლა), ირაკლი ჩაჩუა (სამტრედია), ლაშა დონდოლაძე (ნორჩი დინამოელი), თემურ ლონლაძე (ხაშური), ლაშა გუგავა (აკადემია);*

*თავდამსხმელები: სანდრო იაშვილი (ვიტ ჯორჯია), ამირან ყველაშვილი (გორი), კახა კაშია (აკადემია), გივი ფიფია (ყაზბეგი).*

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებამდე ჭორჭიკაშვილს ორი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი, 1 და 5 ოქტომბერს, თუმც მეტოქეები ჯერჯერობით უცნობია.

**კახა ზალამბერიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

### აღმოსავლეთი

V ტური

ცხუმი — ზოოვეტი 1:2; აკადემია — ვარძია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალაზანი | 5 | 4 | 0 | 1 | 18:7 | 12 |
| მცხეთა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| ზოოვეტი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| აკადემია | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ივერია | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| ვარძია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 2 | 3 | 0 | 18:4 | 9 |
| ოლიმპიკი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 8 |
| მაუდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ჭაბუკიანი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| ლიახვი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:8 | 6 |
| გორდა 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 5 |
| ცხუმი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:4 | 5 |
| დინამო 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| მესხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | 4 |
| მერანი 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| მრეტები | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| კრწანისი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:17 | 1 |
| ჯავახი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:30 | 0 |

### დასავლეთი

VI ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:3 | 18 |
| მერცხალი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 16 |
| ზუგდიდი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:4 | 16 |
| გურია 2 | 6 | 4 | 1 | 1 | 16:4 | 13 |
| მეტალურგი 2 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| საპოვნელა | 6 | 3 | 2 | 1 | 18:7 | 11 |
| ინტერი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 10 |
| საირმე | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| სამეგრელო | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 9 |
| კოლხეთი 2 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| სქური | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 9 |
| სალხინო | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 9 |
| მადაროელი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:12 | 7 |
| ეგრისი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 7 |
| სოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 |
| ბათუმი 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| ლუკა | 6 | 1 | 0 | 5 | 4:13 | 3 |
| გზები | 6 | 1 | 0 | 5 | 2:13 | 3 |
| ჩიხურა | 6 | 1 | 0 | 5 | 6:18 | 3 |
| ოკრიბა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:18 | 0 |

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი ტრაგედია და თანადგომა გაგვიწია ჩვენი ოჯახისთვის უმძიმეს პერიოდში.

სიკეთე შენ გადაგვიხადოს.

**ლევან ყიფიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემეტრაძე იბრძვის, აშვეთია იწყებს ციურიხი: სადღაა რიხი...




მიხეილ აშვეთია

**ფატიჰ თერიმის** „მილანში" მისვლას ჯერჯერობით ფეხბედნიერი შეიძლება დავარქვათ. სერია A-ს პირველ ტურში „ბრეშასთან" უსახური ფრის მერე „შავ-წითლებმა" ზედიზედ სამი თამაში მოიგეს და ახლა თანაქალაქელ „ინტერთან" და „იუვენტუსთან" ერთად თანაბარი ქულებით ლიდერთა სამეულში არიან. ამართლებენ თერიმის ახალწვეულებიც, რუმინელი კონტრა და დანიელი ლაურსენი უკვე მოერგნენ მილანურ ხასიათსა და სათამაშო სქემას. დაბრუნდა ხელისტრავმამოშუშებული პორტუგალიელი რუი კოშტაც, რომელიც „ლაციოსთან" მატჩში ყველასგან გამოირჩეოდა.

კვირას „მილანს" „ლაციოს" დამარცხება არ გასჭირვებია, თუმცა კახა კალაძისთვის უხერხული თამაში კი გამოდგა. მეორე ტაიმში კახა ჩვეულად ირჯებოდა და კრესპოს შემცვლელ კოვაჩევიჩს გასაქანი არ მისცა. ხოლო პირველ ნახევარში ორი უხეში შეცდომა დაუშვა. ჯერ ბურთი ხეირიანად ვერ მოათვინიერა და ერნან კრესპოს დარტყმული მეკარე აბიატის ხელიდან ხარიხას მოხვდა, მერე კი, ბოლო მცველად დარჩენილს, უხეირო პასი იმავ კრესპომ ჩაუჭრა, მაგრამ სველ მინდორზე ფეხი დაუცდა და ეპიზოდიც ამით დამთავრდა. მოკლედ „მილანს" ამ შემთხვევებში გაუმართლა.

ცხადია, კახას მეტი ყურადღება მართებს, თუმცა ასეთი რამ, მით უმეტეს, წვიმისგან დამბალ მინდორზე ნებისმიერ მცველს შეიძლება მოუვიდეს.

ქართველები გამოჩნდნენ სერია B-ს „სიენაშიც". ოღონდ ლევან მელქაძის დებიუტი ცოტა უცნაური გამოდგა. „ვერონასთან" სათასო მატჩში ის ერთი წუთის შესული იყო მინდორზე, როცა მოწინააღმდეგის უხეშობის მსხვერპლი გახდა. ამას, ცხადია, შელაპარაკებაც მოჰყვა და „ლრეჯო" მინდვრიდან დაითხოვეს. დავით დილმელაშვილი კი სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა და როგორც იტალიელი ჟურნალისტები წერენ, ურიგოდ არ უთამაშია.

დათო ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩშიც გამოჩნდა მინდორზე, ამჯერად შეცვლაზე. „სიენა" კი „მოდენასთან" სტუმრად ორჯერ იგებდა, მაგრამ ფრეს დასჯერდა და ახლა ბოლოდან მეოთხე ადგილზეა.

გერმანიაში ლამის თვენახევრიანი აიწონა-დაიწონას შემდეგ მოიგო „ფრაიბურგმა". ბუნდესლიგის პირველ ტურში „ვერდერთან" შთამბეჭდავი გამარჯვების მერე ფოლკერ ფინკეს გუნდს ზედიზედ ხუთი ტური აღარ ენახა გამარჯვების სიხარული და აი, წინა შაბათს „შალკე" 2:0 დაამარცხა. პირველი გოლი ბერლინელთა პოლონელმა ტომაშ ჰაიტომ ალექსანდრე იაშვილის ჩაწოდების შემდეგ საკუთარ კარში შეაგდო. მეორე კი იბრაჰიმ ტანკომ გაიტანა. წარმატების მიუხედავად, ქართველებს „კიკერისგან" დაბალი შეფასებები ერგოთ, იაშვილს 4,5, კობიაშვილს 3,5, ხოლო ცქიტიშვილს 3.

„ნიურნბერგთან" მატჩში 5 დაუწერეს არჩილ არველაძეს, თუმცა ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ქართველმა თავდამსხმელმა ტრავმა მოიშუშა და წლეულს პირველად გამოჩნდა „კიოლნის" ძირითადში. „კიოლნმა" 1:2 წააგო და ის ერთი ბურთი ბარანეკმა სწორედ არჩილის დროული პასის შემდეგ გაიტანა.

ესპანური „სოსიედადის" ძირითადში ადგილს იმკვიდრებს გიორგი დემეტრაძე, მისმა გუნდმა კი შარშანდელის არ იყოს, სეზონი მეტად მძიმედ დაიწყო და ოთხი ტურის მერე ბოლო, მეოცე ადგილზეა.

დიდი ჩავარდნა აქვს ჯამარაულ-ყაველაშვილის „ციურიხსაც". პირველ ტურებში შვეიცარიის ჩემპიონატის ლიდერებს, უკვე ხუთი მატჩია აღარ მოუგიათ, თანაც ბოლო სამიდან ორი 0:3 წააგეს.

შედეგად, გუშინდელი მეწინავე დღეს მერვე ადგილზეა, თუმცა მეორე-მესამეზე მდგარ „გრასჰოპერსა" და „სიონს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება და დაკარგული ჯერაც არაფერია.

სასიამოვნო ინფორმაციები მოდის ავსტრიიდან. დავით მუჯირი, ვინც ბოლო დროს „შტურმის" შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, ისევ გამოჩნდა. ჯერ სათასო მატჩში „რაპიდის" მეორე გუნდთან ოთხი გოლი გაიტანა, მერე კი „ზალცბურგთან" ჩემპიონატის მატჩშიც ათამაშეს. ავსტრიული მედია იმასაც იუწყება, რომ მუჯირი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ახალ გუნდს ჯერ საკმარისად ვერ შეეგუა.

ახლა ერთი დებიუტის შესახებ. ყოფილმა ტორპედოელმა, 23 წლის მიხეილ აშვეთიამ, კვირას „კოპენჰაგენის" შემადგენლობაში პირველად ითამაშა დანიის ჩემპიონატში. „ოლბორგთან" მატჩის 82-ე წუთზე მან კარსტენ ფრედგაარდი შეცვალა.

აშვეთიას კარიერაში 175 გოლი გაუტანია. აქედან ერთი ამ ზაფხულს, „კოპენჰაგენის" კარში. დანიელებს ის სწორედ „ტორპედო" — „კოპენჰაგენის" შეხვედრებისას მოეწონათ და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს. ახლა ყველაფერი მიხოზეა დამოკიდებული. გატანა მისი საქმეა და თუ დანიაში თავი გამოიჩინა, ეგებ ეროვნულ გუნდშიც დაბრუნდეს.

**სოლომონ გულისაშვილი**



ტრავმამოშუშებულმა არჩილ არველაძემ (ბურთით) „ნიურნბერგთან" მატჩი სასტარტოში დაიწყო

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:0 | 63 | შეცვალეს | 7 | 1 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:0 | 90 | | 7 | 1 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:0 | 90 | | 6 | 0 | 10 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ნიურნბერგი 1:2 | 45 | საგოლე პასი, შეცვალეს | 3 | 0 | 12 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ზაარბრიუკენი 3:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ლიდსი 0:3 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 18 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | მიდლსბრო 2:2 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| | ვულვზი | ს | ჯილინგემი 3:2 | 0 | | 2 | 0 | 6 |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | უოლსოლი 3:0 | 0 | | 2 | 0 | 3 |
| | ვულვზი | შ | ნოტინგემი 1:0 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | კილმარნოკი 1:0 | 0 | | 7 | 1 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | კილმარნოკი 1:0 | 90 | | 8 | 0 | 6 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დ. იუნაიტედი 6:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლაციო 2:0 | 90 | | 4 | 0 | 2 |
| **იტალია. სერია B** | | | | | | | | |
| დავით დილმელაშვილი | სიენა | ს | მოდენა 2:2 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 17 |
| ლევან მელქაძე | სიენა | ს | მოდენა 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 17 |
| **იტალია. თასის მეორე ეტაპი** | | | | | | | | |
| დავით დილმელაშვილი | სიენა | შ | ვერონა 1:0 | 73 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | |
| ლევან მელქაძე | სიენა | შ | ვერონა 1:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა, გააძევეს | 1 | 0 | |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | ვილიარეალი 0:1 | 51 | შეცვალეს | 3 | 0 | 20 |
| **ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ჰერენვენი 1:4 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 12 |
| **ბელგია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | გენკი 2:4 | 90 | | 3 | 0 | 8 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | ს | გენკი 2:4 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 8 |
| **შვეიცარია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | სერვეტი 0:3 | 90 | | 9 | 1 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სერვეტი 0:3 | 90 | | 10 | 7 | 8 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | გრასჰოპერი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| **ავსტრია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ზალცბურგი 2:0 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მემფისის (ქვეყნის) თასის პირველი ეტაპი** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი (დუბლი) 6:1 | 90 | 4 გოლი | 1 | 4 | |
| **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | ს | ოლბორგი 1:1 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 4 |
| **რუსეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | | ტური გამოტოვა | | | 19 | 2 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | | ტური გამოტოვა | | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | შ | დინამო 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 13 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | დინამო 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 13 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | ს | სოკოლი 4:2 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | სოკოლი 4:2 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | შ | სპარტაკი 2:4 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | | ტური გამოტოვა | | | 2 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | ტომი 1:0 | 90 | | 6 | 1 | 14 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | ტომი 1:0 | 90 | | 18 | 0 | 14 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | შ | ტომი 1:0 | 0 | | 5 | 1 | 14 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | ურალანი 1:3 | 0 | | 18 | 3 | 11 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | შ | ლოკომოტივი 1:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 0 | 3 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | ს | ბალტიკა 0:1 | 90 | | 2 | -1 | 9 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | მეტალისტი 1:4 | 90 | | 9 | 1 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | მეტალისტი 1:4 | 90 | | 9 | 3 | 10 |
| სოსო გიგიაძე | ტავრია | ს | მეტალისტი 1:4 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | მეტალისტი 1:4 | 71 | შეცვალეს | 8 | 1 | 10 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | შ | მეტალურგი 3:2 | 0 | | 8 | 0 | 13 |
| **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | პოგონი 3:0 | 90 | | 9 | 0 | 6 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | ვაშაში 1:1 | 0 | | 6 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | სპ. პლოვდივი 3:5 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| **ისრაელი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ყიფიანი | მ.კირიათ გათი | ს | მ.ნეთანია 0:2 | ? | | ? | 0 | 11 |
| გოჩა ქოქოშვილი | მ.კირიათ გათი | ს | მ.ნეთანია 0:2 | ? | | ? | 0 | 11 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აეკ ლარნაკა 3:4 | 0 | | 1 | 1 | 6 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | ეთნიკოსი ახნასი 0:3 | 90 | | 2 | 0 | 13 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | ს | ომონია 0:3 | 70 | შეცვალეს | 2 | 1 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | ს | ომონია 0:3 | 90 | | 2 | 0 | 14 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:2 | 0 | | 10 | 1 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:2 | 62 | შეცვალეს | 13 | 1 | 3 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:2 | 90 | | 15 | 10 | 3 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 3 | 3 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:2 | 0 | | 4 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | დაუგავა 1:3 | 90 | | 7 | 0 | 7 |
| **აზერბაიჯანი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გია კილასონია | ნეფთჩი | ს | შახდაგი 1:0 | 90 | | 5 | 0 | 2 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | უმიდი 1:3 | 0 | | 3 | 1 | 9 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# ალბათ ძნელია ხარის გამგუდავი ქალის ქმრობა

## ძრწოდეთ, მამაკაცებო, ატალანტეს მემკვიდრენი მოდიან

***თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად სარბიელზე მოჭიდავე ქალებს უხმობენ. მათ ოლიმპიურ ჯაჯგურს 2004 წელს ათენის თამაშებზე ვიხილავთ, მაგრამ ქალთა ჭიდაობა არ ახალია. მათი ამგვარი ბრძოლა მწირ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მოჭიდავე ქალბატონებს ჰყავდათ წინამორბედნი, მათ შორის ფრიად სახელგანთქმული ქართველი ფალავნებიც, ვისთვისაც პოეტებს ხოტბა შეუსხამთ. იყვნენ ძლიერი რუსი მოჭიდავე დედაკაცებიც და სხვა უცხოელებიც. იყვნენ მითოლოგიური გმირი ქალბატონებიც, უმთავრესი კი მაინც სწორუპოვარი ატალანტე იყო.***

**ატალანტე** მამაცი არკადიელი (სხვა ვარიანტით ბეოტიელი) მონადირე ასული იყო, თუმცა სხვა ღირსებებითაც ფრიად გამორჩეული გახლდათ, მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად.

ახალშობილი ატალანტე მამამ პართენონის მთაში უპატრონოდ მიაგდო, რადგან ვაჟი უნდოდა შვილად. ბედად ჩვილი ძუ დათვმა გამოკვება, ფეხზე დააყენა და მერე მონადირეებმაც იპოვეს და მათაც თავიანთი ხელობა ასწავლეს. მალე ნადირობაში ისე დახელოვნდა, რომ ბადალი აღარ ჰყავდა. ატალანტემ მშვილდისრით განგმირა ორი აბეზარი კენტავრი, რომლებიც ავი ზრახვით აედევნენ.

ატალანტეს ვხედავთ სახელგანთქმულ კალედონის ნადირობაში, რომელიც ქვეყნის ამაოხრებელ, მძვინვარე ტახზე გაჩაღდა. ნადირობაში თუმცა მთელი საბერძნეთის გმირთა კრებული მონაწილეობდა, როგორც არგონავტების ლაშქრობასა და ტროას ომში, მაგრამ ტახი პირველმა მაინც ატალანტამ დაჭრა, რისთვისაც ჯილდოდ მისი თავი და ტყავი დაიმსახურა, რამაც შურით აღავსო მამაკაცები.

მაგრამ ატალანტე მხოლოდ კარგი მონადირე როდი იყო. იგი დიდებულად ფლობდა ჭიდაობის ილეთებსაც და აკი პელიასის გასვენების დღეს ჭიდაობაში სძლია სახელგანთქმულ პელევსს.

ატალანტე საოცრად ფეხმარდიც იყო, ქარზე უსწრაფესად დაქროდა და არც ამ საქმეში ჰყავდა ბადალი. ატალანტე გარეგნობითაც უბადლოდ პირმშვენიერი იყო. ამიტომაც მის საგმირო საქმეებს სიტლანქეზე მშვენიერების გამარჯვებად მიიჩნევენ.

პირმშვენიერ ატალანტეს სილამაზის გამო ბევრი ეტრფოდა, მაგრამ როცა მამამ შერიგების მერე გათხოვება უბრძანა, ატალანტემ მხოლოდ ერთი პირობით განაცხადა თანხმობა — ცოლობას დაპირდა მას, ვინც რბენაში აჯობებდა, დამარცხებულს კი შუბით განვგმირავო. მიუხედავად იმისა, რომ რბენაში მისი მჯობნი არ მოიძებნებოდა, სასიძოები მაინც მრავლად გამოჩნდნენ. ჰოდა, იღუპებოდნენ და იღუპებოდნენ შუბით განგმირული სასიძოები. ბოლოს გამოჩნდა მელანიონი (ევრიპიდეს მიხედვით — ჰიპომენე), რომელსაც დახმარების ხელი თვით სიყვარულის ქალღმერთმა, მშვენიერმა აფროდიტემ გაუწოდა. მელანიონი ღმერთქალის რჩევით რბენისას ზურგსუკან მისივე ნაჩუქარ ოქროს ვაშლებს ყრიდა. ატალანტემ მართლაც ვერ გაუძლო ცდუნებას, მის აკრეფაში დროს კარგავდა და რბოლაც წააგო. სამაგიეროდ მელანიონმა მოიგო რბენაც, სიცოცხლეცა და საცოლეც.

ლამაზი ლეგენდაა, მაგრამ...

ბერძნულ მითოლოგიაში სხვა ქალთა ამგვარი გმირობების ამსახველი ისტორიები კიდევ მოიძებნება, მაგრამ მათ შორის ატალანტე მაინც გამორჩეულია.

ატალანტეს რეალურ ცხოვრებაშიც საკმაოდ ჰყავდა მემკვიდრეები, განსაკუთრებით სპარტაში. მათი ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა მხოლოდ საერთოდ მთელი საბერძნეთისთვის ეგზომ პოპულარულ რბენაში, ან ცხენებით რბოლაში, ტანვარჯიშში, არამედ ისეთ ზედმიწევნით კაცურ სახეობაში, როგორიც ჭიდაობაა.



ატალანტე და მელეაგრე დაჭრილ ტახთან



თქვენ აზიელი ქალები უძახეთ და ისინიც ჭიდაობენ თავიანთ კონტინენტურ თამაშებზე

***

**მამაკაცურ** საქმეში გამორჩეული ქალები მრავლად გვყოლია ქართველებსაც, რომლებსაც ბრძოლის ველზეც კი გამოუჩენიათ თავი: დარეჯან შილდელი, თინა ფარსმელი, ბულბულა ქვიშხეთელი, ქრისტინე მჭადიჯვრელი, მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვანელი...

„ქართველი დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან... ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ და თან დააქვთ მშვილდისარი და კაპარჭი“-ო. ასე დაუხასიათებია ჩვენი დედაკაცები რომაელ პავლე მარია ფიანცელ დომინიკიანის.

ქართველი ქალები კარგი მოჭიდავეებიც ყოფილან. თბილისელ ანას თავისი ჭიდაობით ისე მოუხიბლია ერეკლე მეფე, რომ მისი დაკვეთით საიათნოვას ლექსიც კი მიუძღვნია ამ ფალავანი ქალბატონისთვის.

ლეგენდები დადიოდა მუხათელთა რძალზეც, ანაბაჯას რომ უწოდებდნენ. მას დაეჯაბნა თელეთელი გიორგი, ბორბალოელი სოსია, ქიზიყელი შაქრუა, ვაშლოვანელი ივანე, კუმელი თედო... ამათთვის ისნელი კარაპეტაც ზედ მიუყოლებია და სხვებიც. ჰოდა იეთიმ გურჯსაც ამოხდენია:

„იმ დღეს ოცდაორი დასცა,
არვის არ ჰქონდა ფერია,
ვენაცვალეთ შენს ქალობას,
გაგინათლდეს მშობელია!..
სიხარულით შინ დაბრუნდა
მთელი მუხათ-სოფელია...“

აზარტული მოჭიდავე ყოფილა სახელგანთქმული ფალავნის ნესტორ ესებუას დაც. ვერის დაღმართზე, ცირკში ჭიდაობდა აგრეთვე ცნობილი თამარ გრუზინსკაია...

1966 წელს „ლელოში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ივანე ჯავახიშვილის საინტერესო წერილი, რომელიც მისი ავტორის ხელში ჩავარდნილი მოჭიდავე ქალების გუნდური ორი ფოტოსურათის კვალდაკვალ სიარულსა და კვლევაძიებაში დაუწერია. ერთ-ერთი სურათი ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებლოდან შურა გაგოშიძის ოჯახიდან ჩამოუტანიათ. წინა პლანზე, შუაში რომ ქალი ზის, ქართველიაო, უთქვამს გაგოშიძეს.

იმ ქალის მკერდს ამშვენებდა მედლები და წარწერიანი საპატიო ლენტი, რომლის წაკითხვაც ნაწილობრივ მოუხერხებიათ: „სახსოვრად ნიკოლაევის ათლეტური საზოგადოებისგან“.

ეტყობა, ჩვენს თანამემამულეს ნიკოლაევში მოჭიდავეთა ტურნირში გამარჯვების ნიშნად მიუღია ეს ლენტი.

შურა გაგოშიძეს ისიც უთქვამს, ამ დაკუნთული ქალბატონების შესახებ შესაძლოა თბილისში დიღმის მასივში მცხოვრებმა ეკატერინე ღლანიძემ იცოდეს რამეო და მაძიებელი ჟურნალისტიც მას შინ მიადგა.

სამტრედიაში, „ედემის ბაღშია“ გადაღებული — სურათზე დახედვისთანავე უთქვამს ქალბატონ ეკატერინეს — გათხოვებისას, ქმრის ოჯახში, ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული დამხვდა. ქმარმა მითხრა, ჩემი მოწაფეები არიანო. ჩემმა ქმარმა დალაქობაც იცოდა, მეჩექმეობაც, კბილის ამოღებაც, ჭიდაობაც. ჩამოსულ და ადგილობრივ, ფიზიკურად ძლიერი ქალებისაგან მოჭიდავეთა გუნდი ჩამოაყალიბა. მათ ავარჯიშებდა და თან დაჰყავდა ფოთში, ხონში, ქუთაისში... ერთხელ სამტრედიაში მათ ჭიდაობას მეც დავესწარი“.

ამ ფოტოსურათის კვალდაკვალ ჯავახიშვილი სამტრედიაშიც ჩავიდა. იქ მოძებნა სცენის მოყვარული და ჭიდაობის გულშემატკივარი, 80 წლის ლევან ბუაძე. მას უნახავს „ცოცხალი რეკლამა“. კაცს ზურგზე აფიშა ჰქონდა გაკრული და მოჭიდავე ქალთა ასპარეზობაზე დასასწრებად უხმობდა საზოგადოებას. სარბიელზე მათი გამოსვლის დღეს ბაზარი ცარიელდებოდა და ასობით სამტრედიელი უმზერდა ქალთა ჭიდაობას.

ბუაძეს ნათქვამი დაუდასტურა 85 წლის ბესარიონ ტორონჯაძემ და დასძინა, მოჭიდავეთა გუნდში რამდენიმე ქართველი ქალიც გამოდიოდაო.

მიხეილ ღლანიძის ქალთა გუნდის კვალდაკვალ მაძიებელი ჟურნალისტი ჩავიდა ქუთაისშიც, სადაც იქაურმა ყოფილმა მოჭიდავემ და ცნობილმა პედაგოგმა შალვა დავითაშვილმა საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა.

„ქალების ჭიდაობა ყოფილ „საოჯახო ბაღში“ იმართებოდა. ერთ ქუთაისელს, ვინმე მოშიაშვილს არ სჯეროდა, რომ ფალავანმა ქალმა მამაკაცი დაჯაბნა და პირადად თვითონ გამოიწვია ნიძლავზე. გამოწვეული დამარცხდა და, ცხადია, ქალმა მოიგო [illegible] ნიძლავი.

— მოშიაშვილი ქალებმა მოიგეს! — გაცხარდნენ სეირის შემყურე სიმონგალოვი, გრიგოლია და საჭიდაო წრეში გადაეშვნენ. მანდილოსანმა, როგორც იტყვიან, ისინი ბურთივით დაანარცხა მიწაზე. ჭიდაობის მოყვარულთა ეს შეხვედრა ჭომასუბანში პურმარილით დასრულდა“ — გაიხსენა ეს სასეირო ამბავი შალვა დავითაშვილმა.

„ჭრებალოური“ ფოტოს კვალდაკვალ მავალი ჯავახიშვილი მაშინ თბილისში წააწყდა მეორე სურათსაც, რომელზეც ასევე მოჭიდავე ქალთა გუნდი იყო აღბეჭდილი. ოღონდ ეს სურათი უფრო ნაკლებხნოვანი აღმოჩნდა. რვა ქალაღბეჭდილი ყავისფერი სურათი თბილისელი პენსიონერის ტარასი ბერიშვილისა ყოფილა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ბაქოში ცხოვრობდა. იგი ხშირად ესწრებოდა იქ გამართულ საცირკო წარმოდგენებს. უნახავს ამიერკავკასიის მოჭიდავე ქალთა პაექრობა, რომელშიც რამდენიმე ქართველიც გამოდიოდა. იმ ფოტოსურათის მინაწერიდან ირკვევა, რომ „მოჭიდავე ქალების ინტერნაციონალური ჩემპიონატი“ მოუწყვია ცირკის მუშაკს იოზეფ როზენშტეინს, რომელსაც „თავის“ ქალებთან სამახსოვრო სურათი გადაუღია, ის ფოტო კი ბერიშვილისთვის წარმოდგენის მერე უჩუქებია ქალს, რომელიც უკანა რიგში მარცხნიდან მეორე დგას და მის მკერდს მედალი ამშვენებს.

***

**პლატონი** თავისი იდეალური სახელმწიფოს პროექტში აუცილებელ ფიზიკურ აღზრდას თანაბრადავრცელებდა ვაჟებზეც და ქალებზეც. შესაძლოა მას ძალზე მოსწონდა ქარივით სწრაფად მორბენალი, დელფინივით ლამაზად მოცურავე, ლერწამივით მოქნილი ტანმოვარჯიშე, ცხენთან ლამის კენტავრივით შეზრდილი, ოსტატურად მრბოლი ქალები, მაგრამ საეჭვოა ეს დიდი ფილოსოფოსი მოჭიდავე ქალებითაც აღფრთოვანებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ატალანტეს მამაკაცური ძალისა და თვისებების გამოვლინების გამო არისტოტელეს უთქვამს: „ატალანტეს ხასიათი ვაჟკაცური, მაგრამ დედაკაცისთვის შეუფერებელია“-ო.

ქალთაგან კაცთა ასეთი მძლეთამძლეობა, ეტყობა, არც უპოპულარეს ძველბერძენ სატირიკოს არისტოფანეს მოსწონდა, რადგან ერთ-ერთ კომედიაში ათენელ ქალბატონ ლისისტრატეს სპარტელ დიაც ლამპიდოსთან შეხვედრისას რაღაც ამგვარი აღმოხდება — მოგესალმები დაფასებულო სპარტელო ლამპიდო, ეს რა სილამაზეს აფრქვევ ლოყებღაჟღაჟა და თან როგორი ჩაფსკვნილი ხარ! და შენ ხომ ხარსაც გაგუდავ.

პასუხად ლამპიდო შეიცხადებს, აბა, რა! ამაოდ ხომ არ ვჭიდაობ, ვხტუნავ და დავრბივარ!

ამ დიალოგს ირონიული ელფერი დაჰკრავს და ალბათ, მართლაც ძნელია ხარის გამგუდავი, დაკუნთული ქალის ქმრობა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



„ჭრებალოური“ სურათი



იოზეფ როზენშტეინი „თავის“ მოჭიდავე ქალებთან

# NHL სეზონის წინ

## სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი

### ატლანტა თრეშერსი

**მოვიდნენ: ფორვარდები ლუბოშ ბარტეჩკო, ილია კოვალჩუკი**
**წავიდნენ: ფორვარდი ენდრიუ ბრიუნეტი, მცველი სტივ სტეიოსი**

1989-91 წლებში უნიკალურ მოვლენას ჰქონდა ადგილი — ზედიზედ სამჯერ დრაფტის №1 ერთ გუნდს, კვებეკს (ამჟამად კოლორადო) ერგო. ის კი ერთხელაც არ შეცდა და სამჯერვე საუკეთესო არჩევანი გააკეთა — მატს სუნდინი, ოუენ ნოლანი, ერიკ ლინდროსი. სამივე ჰოკეისტი შემდგომში ვარსკვლავად იქცა. მართალია, მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობები სხვა გუნდებში გადასვლის შემდეგ გამოამჟღავნეს, მაგრამ სამაგიეროდ, კვებეკმა (კოლორადომ) მათ სანაცვლოდ ჩინებული კომპენსაცია მიიღო. სწორედ ახალწვეულებმა შექმნეს სადღეისოდ ლიგის ორგზის ჩემპიონის ძირითადი ბირთვი.

ათი წლის შემდეგ სიტუაცია თითქმის განმეორდა. 1999-2001 წლებში ატლანტამ შესაბამისად პირველი (პატრიკ შტეფანი), მეორე (დანი ჰიტლი) და პირველი ნომერი (ილია კოვალჩუკი) აიყვანა და ერთობ ნიჭიერი ყმაწვილები შეიმატა. თუმც, კოლორადოსგან განსხვავებით, „თრეშერები" სულაც არ აპირებენ მომავალი ვარსკვლავების გაყიდვას (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) და დამდეგ სეზონში სწორედ ამ სამეულზე ბევრად იქნება დამოკიდებული გუნდის ბედი. საგამოფენო მატჩებში რუსი, ისევე როგორც ჰიტლი, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ რამდენად შეძლებენ ისინი გუნდიდან წასული დონალდ ოდეტის (წინა სეზონის დედლაინზე გაცვალეს) და ენდრიუ ბრიუნეტის შეცვლას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

### კაროლინა ჰარიკეინსი

**მოვიდნენ: მეკარე ტომ ბარასო; მცველი აარონ უორდი; ფორვარდი კრის დინგმანი**
**წავიდნენ: მცველი დეივ კარპა; ფორვარდები სკოტ პელერენი, რობ დიმაიო**

გასული სეზონი კაროლინას აქტივში ეთვლება — ერთწლიანი პაუზის შემდეგ ხომ გუნდი კვლავ პლეი ოფში გავიდა. აქამდე ნაკლებად ცნობილმა ჯეფ ონილმა 41 გოლი გაიტანა (მანამდე 25 იყო პირადი რეკორდი) და, რაც მთავარია, სამი წლის წინ ჰარტფორდიდან გადმობარგებული გუნდი როგორც იქნა შეიყვარა ქალაქ როლის მაყურებელმა. „ქარიშხლების" ერთ თამაშს საშუალოდ 13400 კაცი ესწრებოდა (1989-99 წლების სეზონში 8200). გუნდმა არც პლეი ოფში შეირცხვინა თავი და მომავალ ფინალისტ ნიუ ჯერსის ერთობ გაურთულა საქმე.

ზაფხულში გუნდმა „რკინის კაცს", მეკარე არტურ ირბეს, ღირსეული შემცვლელიც მოუძებნა — ტომ ბარასო, გუნდის ლიდერ რობ ბრინდამორის საკონტრაქტო მოთხოვნილებებიც შეასრულა (ფორვარდი 6 წელიწადში 30 მილიონს მოიხვეჭს). მომდევნო პროგრესისთვის კაროლინას შედეგიანობის გაუმჯობესება მართებს (შარშან მხოლოდ 213 გოლი დაუგროვდა). გარდა ამისა, აუცილებლად უნდა მოუმატოს სანდის ოზოლინშმა. კოლორადოდან შარშან გადასულ ლატვიელს „ქარიშხლებში" სადებიუტო სეზონი აშკარად ჩაუფლავდა.

### ფლორიდა პანტერსი

**მოვიდნენ: ფორვარდები ვალერი ბურე, ბილ ლინდსეი, ჯეისონ უიმერი, კრისტიან ჰუსელიუსი; მცველი ჯეფ ნორტონი**
**წავიდნენ: ფორვარდები რობ ნიდერმაიერი, ირჟი დოპიტა, ვაცლავ პროსპალი; მცველები მაიკ უილსონი, ანდერს ერიკსონი.**

აღსრულდა ბურეების ოცნება. ამ სეზონში ძმები — პაველი და ვალერი — ერთ კლუბში პირველად იასპარეზებენ.(მათ მშობლიურ ცსკა-შიც არ მოუწიათ ყინულზე ერთად გასვლა). მართალია, ისინი ერთ სამეულში ვერ ითამაშებენ, რადგან ამპლუით ორივე მარჯვენა გარემარბია, მაგრამ სწორედ ვალერიზე და, ალბათ, შვედ ახალბედა კრისტიან ჰუსელიუსზე იქნება დამოკიდებული, რაოდენ სერიოზულ დახმარებას მიიღებს უფროსი ძმა. წინა ჩემპიონატში ხომ პაველი ფაქტობრივად მარტო იბრძოდა (მან 59 გოლი გაიტანა, მეორე მეგოლემ, ვიქტორ კოზლოვმა კი — 14). თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ თავადაც ინდივიდუალურად გამორჩევით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე გუნდის წარმატებით. სამწუხაროდ, სხვა სუსტი პოზიციები არ გააძლიერეს გუნდის მესვეურებმა და ამიტომაც „პანტერები" სადღეისო ასე გამოიყურებიან: შეტევაში ძალიან ნიჭიერი და უნარიანი, მაგრამ დაცვისთვის ნაკლებად თავგამოდებული ფორვარდები და საკმაოდ სუსტი დაცვა, რომელიც მაქსიმალურად ურთულებს საქმეს მეკარეებს. გასაკვირია, როგორ ახერხებდა რობერტო ლუონგო საშუალოდ ერთ მატჩში 2,5 გოლზე ოდნავ ნაკლების გაშვებას. კვლავ შეგახსენებთ ჰუსელიუსის გვარს: სამშობლოში დავაჟკაცებული და დახელოვნებული 22 წლის შვედი „კოლდერ ტროფის" ერთ-ერთი მთავარი მაძიებელი უნდა გახდეს.

### ტამპა ბეი ლაითნინგი

**მოვიდნენ: ფორვარდები დეივ ანდრეიჩუკი, ტიმ ტეილორი, იუჰა ილონენი, ვაცლავ პროსპალი; მცველები გრანტ ლედიარდი, მეტიუ ბირონი**
**წავიდნენ: ფორვარდები რობ ზამუნერი, რეტ უორინერი, ალექსანდრ ხარიტონოვი; მცველი ადრიან ოკუანი**

90-იანი წლების დასაწყისში ლიგის გაფართოების მორიგი ეტაპის შედეგად ნჰლ-ს 9 გუნდი შეემატა. მათ შორის ტამპა ერთ-ერთი უხუცესი გახლავთ (ეს მე-10 სეზონი იქნება გუნდისთვის), მაგრამ „ელვები" დღესაც გამოუცდელი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს — ზედიზედ მეხუთე წელია, იგი სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზეა და ძალიან გასაკვირი იქნება, თუ წლეულს მაინც დაირღვა ეს უსიამოვნო ტრადიცია. ისე, ზაფხულში გუნდს რამდენიმე გამოცდილი ვეტერანი შეემატა, რომელთა გვერდითაც ვენსან ლეკავალიემ, ბრედ რიჩარდმა და გუნდის სხვა ახალგაზრდა ლიდერებმა კარგად უნდა იგრძნონ თავი. გარდა ამისა, ნიკოლაი ხაბიბულინი ლამის ორწლიანი უმოქმედობის შემდეგ ძალიან შეეცდება, გაგვახსენოს, რა დონის მეკარე იყო, სანამ ამ უაზრო გაფიცვას დაიწყებდა. არც კევინ უიქსია ურიგო მეკარე, მაგრამ შარშანდელი 59-ქულიანი სეზონის შემდეგ ძნელია, ირწმუნო, რომ ტამპა პლეი ოფში გასვლას შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, გუნდის გამოუცდელი დაცვა ამის იმედს არ იძლევა.

### ვაშინგტონ კეპიტალსი

**მოვიდნენ: ფორვარდი იაროგირ იაგრი**
**წავიდნენ: ფორვარდი კრეიგ ბერუბი**

წესით და რიგით წლეულს სამხრეთ-აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი სერიოზულად უნდა გაებრძოლოს აღმოსავლეთის გრანდებს. გუნდში ხომ თავად იარომირ იაგრი მივიდა. თანაც, რაც მთავარია, დედაქალაქის გუნდმა სუპერვარსკვლავის პიტსბურგიდან გადაყვანა სასაცილო, სულ სამი ფარმკლუბელის ფასად შეძლო.

იაგრის და პეტერ ბონდრას სახით ვაშინგტონს ლიგის საუკეთესო დუეტი ჰყავს. შარშან მათ ჯამში 97 გოლი და 202 ქულა მიითვალეს და წლეულს ერთ სამეულში შეამხანაგებულ ჩეხს და სლოვაკს მეტის გაკეთებაც მართებთ.

კეპიტალსს კარშიც ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და საიმედო მეკარე, ოლაფ კოლციგი ჰყავს, რომელიც ზაფხულში ბოსებმა საუცხოო კონტრაქტით (5 წელი 31 მილიონი) დაასაჩუქრეს. ეს ყველაფერი, საკმაოდ დაბალანსებულ შემადგენლობასთან ერთად, იმის საწინდარი უნდა გახდეს, რომ დედაქალაქელთა ისტორიაში ახალი, წარმატებული ერა დაიწყოს (მანამდე 26 სეზონში მხოლოდ ერთი ფინალი). თუმც სუსტი მხარეებიც აქვს გუნდს. ჯერაც უცნობია, შეინარჩუნებს თუ არა იგი ადამ ოუთსს. იგი მობერებული, მაგრამ ჩინებული პლეიმეიკერია, რომელმაც ჩეხურ-სლოვაკურ დუეტთან ერთად უნდა დაიკავოს ადგილი სამეულში. ზაფხულში გუნდმა მასთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა, მაგრამ ვეტერანი მაინც გაცვლას ითხოვდა. გარდა ამისა, ვაშინგტონმა აუცილებლად უნდა ისწავლოს სტუმრად თამაში, წინ სეზონში ხომ სტუმრად 17-ჯერ მოიგო და 18-ჯერ დამარცხდა.



# კრივალოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოსტია ძიუ და ზაბ ჯუდა 3 ნოემბერს შეიბმებიან

**WBA-სა** და WBC-ს ქვე-ველტერის წონის ჩემპიონი კოსტია ძიუ ჩინებულ გუნებაზეა — მოგეხსენებათ, მას 3 ნოემბერს ლას ვეგასის MGM გრანდში IBF-ის ქამრის მფლობელ ზაბ ჯუდასთან აქვს ბრძოლა, რომლის გამარჯვებულიც უდავო ჩემპიონი გახდება.

დღეს, სექტემბრის ბოლოს, ძიუ დარწმუნებულია, რომ სწრაფ ნიუიორკელს დაამარცხებს. ამასთან გაავსტრალიელებული, მანამდე კი გარუსებული კორეელი, ცხადია, დიდ გულისტკივილს გამოთქვამს ჯუდას მშობლიურ ქალაქში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო.

„ბრძოლისთვის სერიოზულად ვემზადები" — ამბობს ძიუ — „ჯუდა კარგი მოკრივეა და ვიცი, რომ დიდ წინააღმდეგობას გამიწევს, ოღონდ, ისიც ვიცი, რომ გამარჯვებით მე გავიმარჯვებ. ახლა ჩემი დროა. ვიმეორებ, 3 ნოემბრისთვის სრული დატვირთვით ვემზადები და ამაში ხელს ჩინებული სპარინგ-პარტნიორები გარი და ფრედი მიწყობენ. ჩვენ ძალიან რთულ და დიდ სამუშაოს ვასრულებთ. გარი ძლიერია, ფრედი — სხარტი, თუმცა ფრედი ამერიკაში გადმოფრენამ დაღალა და ცოტა გონს მოსვლა სჭირდება".

გარდა საკუთარი ბრძოლისა, ძიუ ფელიქს ტრინიდადისა და ბერნარდ ჰოპკინსის მოახლოებულ დაპირისპირებაზეც საუბრობს:

„ძალიან მაინტერესებს ტრინიდადის და ჰოპკინსის ბრძოლის ნახვა. დღეს ჩემთვის ძნელია ამ დაპირისპირების შესახებ რაიმეს წინასწარმეტყველება, მით უმეტეს, რომ ნიუ იორკში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ორივე მოწინააღმდეგე დათრგუნული იქნება. მოგეხსენებათ, მათი ბრძოლა უფრო ადრე იყო დაგეგმილი და სწორედ ტერორისტული აქტის გამო ორი კვირით გადაიდო, რასაც შეუძლებელია მეტოქეებზე უარყოფითად არ ემოქმედა. ერთი სიტყვით, ორივეს შეუძლია გაიმარჯვოს, ისევე როგორც ორივეს შეუძლია დამარცხდეს.

დიახ, ნიუ იორკში მართლაც საშინელება დატრიალდა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. დარწმუნებული ვარ, ამერიკელი ერი ფეხზე წამოდგება და გაძლიერდება. ჩვენ კი მეგობრების გვერდით გვიგულეთ. ღმერთი ჰფარავდეს ამერიკას".

* * *

**WBA-მ თავისი ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა და ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ მინიმალურწონოსანი ჩემპიონი იუკატა ნიიდა — ბუნებრივია, იაპონელია — თვის საუკეთესო მოკრივედ დაასახელა. ნიიდა ის კაცია, რომელმაც 25 აგვისტოს იაპონიაში ქულებით გამოსტაცა ჩემპიონის ტიტული ჩანა პორპაოინს. სხვა მხრივ კი ასეა:**

**მძიმე წონაში ზედა შვიდი მოკრივე ძველებურად რჩება. პირველი კირკ ჯონსონია, მეორე — ევანდერ ჰოლიფილდი, თუმცა მასზე წინ მეორეებს შორის პირველი ჯონ რუისი გახლავთ. საინტერესო სახელთაგან აქ აღარ გვხვდება დავიდ ტუა, რომელიც მერვე ნომერი იყო, ხოლო აგვისტოში მისი დამმარცხებელი კრის ბერდი მეთერთმეტე ასულა. მერვეზე ახალი სახელი გამოჩნდა — რუსი ნიკოლაი ვალუევი. იგი ორი საფეხურით მაღლა ავიდა. რაც შეეხება დევიდ აიზონს, ის მეთერთმეტეზე იყო და ახლა მეათეზეა.**

**ეგრეთწოდებულ კრეისერის წონაში ანუ 86,3 კილოგრამიანთა შორის, „უძრაობა" მძიმე წონაზე მეტია. აქ 15 ადგილი ისევეა განაწილებული, როგორც წინა რეიტინგში. პირველ ადგილზე ძველებურად ჟან მარკ მორმეკი გახლავთ, მეორეზე — ალექსანდრ გუროვი.**

**ამის ქვევით გახლავთ ქვემძიმე წონა, რომელშიც ერთმანეთს 79,5 კილოგრამიანი სპორტსმენები ეჯიბრებიან. აქ უძრავად, მძიმე წონის მსგავსად, ზედა შვიდეულია: პირველი ლუის დე ვალე და მეორე ბრუნო ჯირარდი, თუმცა ამ წონაში სუპერჩემპიონად როი ჯონს უმცროსი რჩება.**

**სუპერსაშუალოში ოთხნი არიან ძველებურად. პირველი ადგილი თავისუფალია, მეორეზე ბიორნ მიჩელი და დანა როზენბლატი არიან.**

**საშუალო წონა: 13 ადგილი ისევეა, როგორც იყო. პირველ ადგილზეა ჰოვარდ ისტმანი, რომელსაც ცოტა ხნის წინ კონტრაქტი დონ კინგმა გაუფორმა. მეორეზე არიან ფელიქს ტრინიდადი და დევიდ რიდი.**

**სუპერ ველტერი: 15 ადგილი უძრავად. პირველია ხოსე ფლორესი, მეორეზე — ფერნანდო ვარგასი. აღსანიშნავია, რომ ეს მოკრივეები 22 სექტემბერს შეხვდნენ ერთმანეთს და როგორც მოსალოდნელი იყო, ვარგასმა მეტოქეს შვიდ რაუნდში მოუთავა საქმე, ოღონდ ამ ქულების რეიტინგში შეტანა არ მოესწრო.**

**ველტერშიც 15 ადგილია უცვლელად. პირველია რიკარდო მაიორგა, მეორე კი ენდრიუ ლუისი საინტერესო მეტსახელით „ექვსთავა".**

**ქვემსუბუქ წონაში კოსტია ძიუ მეორეზეა. პირველზე ეკტორ კამაჩო უმცროსი გახლავთ.**

* * *

**ყოფილმა** მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა მაიკ ტაისონმა დაადასტურა, რომ ბრაიან ნილსენთან 3 ოქტომბერს საბრძოლველად დანიაში ჩავა. როგორც ადგილობრივი ორგანიზატორები ამბობენ, კოპენჰაგენის „პარკენ სტადიონი" სავარაუდოდ ორივე მეტოქის ბანაკი გახდება და ეს საკითხი როგორც ტაისონთან, ასევე ნილსენთან შეთანხმებულია. როგორც გაირკვა, ბრძოლას მოემსახურება ამერიკელი რეფერი, ხოლო ქულების დამთვლელი მსაჯები იქნებიან ისევ ამერიკელი, ინგლისელი და ფინელი. აღსანიშნავია, რომ მათი ვინაობა ცნობილი არ არის.

**ტუტა სიხარულიძე**



REUTERS ნიუ იორკიდან

ბრაიან ნილსენი ჭერჭერობით ნიუ იორკში ვარჯიშობს

# კორაჩის თასი

**I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები. 25-26 სექტემბერი**

**კაპოშვარი (უნგრეთი) — რიეკა (ხორვატია) 90:73**

**სერავალე (სან მარინო) — კლაგენფურტი (ავსტრია) 54:76**

**ფაეტანო (სან მარინო) 47:121 სლოვანი (სლოვენია)**

**ფაეტანო: ბარული (2), ბატისტინი (5), ბელინი, კონტი, ჯორჯეტი (17), ჯულიანელი, გრეგორი (3), პელიჩონი (5), როსტი (4), ვაზარი (11)**
**სლოვანი: ფრირსონი (13), კოვაჩი (2), ტულუში (20 წუთი, 4 ქულა, 3 პასი), ს. უდრიჰი (23), უგრეხელიძე (23 წუთი, 10 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა), ზაგორაცი (36), ტაკელი (23), ჟუპანი (10)**

**ეროვნულ** ჩემპიონატებთან ერთად ევროპაში საკლუბო ტურნირებიც ხურდება და უქართველებოდ არც ეს შეჯიბრებები ჩაივლიან. თბილისის „მაკაბი“ და პორტუგალიური „ოლივარენშე“, რომელშიც ვახტანგ ნაცვლიშვილი თამაშობს, კორაჩის თასისთვის მარათონში 17 ოქტომბრიდან ჩაებმებიან. ორიოდ დღის წინ კი ამ ტურნირის პირველი მატჩი გაიმართა და ისიც ქართველების მონაწილეობით. კენჭისყრამ ლიუბლიანის „სლოვანს“, რომელსაც ორი ქართველი — დავით უგრეხელიძე და კოტე ტულუში შემორჩა, კენჭისყრამ კორაჩის თასში ჩაბმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან არგუნა და სლოვენიელებსაც მეტოქედ მეტად ბეჩავი, სანმარინოული გუნდი შეხვდათ.

ლიუბლიანელებმა პირველი მატჩი „ფაეტანოსთან“ სტუმრად ჩაატარეს, თუმც, თამაშიდან გამომდინარე, მათ სტუმრებს ძნელად თუ ვინმე უწოდებდა. არ მეგულება ქართულ ენაში დიდი უპირატესობის გამომხატველი ეპითეტი, რომელიც „სლოვანის“ გამარჯვებაზე ლაპარაკისა არ გამოგვადგეს. სანმარინოელებმა ამ მატჩშიც ცხადყვეს, რომ სხვა სპორტულ სახეობათა მსგავსად, სათანადოდ არც კალათბურთის თამაში ეხერხებათ. ბალკანელებმა შუაგულიტალიელები მიწასთან გაასწორეს და საკუთარ კედლებში 74-ქულიანი მარცხი აგემეს. ძნელია, ასეთი თამაშის პერიპეტიებზე ისაუბრო, ანაც ვინმე გამოარჩიო, მაგრამ თუ მაინც ვისაუბრებთ მათზე, ვინც თავი გამოიჩინა, ცენტრის, 208-სანტიმეტრიანი დავით უგრეხელიძის მოხსენიებაც მოგვიწევს. იმ 23 წუთის განმავლობაში, რაც უგრეხელიძემ მოედანზე დაჰყო, თავის თანაგუნდელთ არც თუ ისე ბევრი — 10 ქულით შეეწია, თუმცა მან სხვებზე გაცილებით მეტი მოხსნა (13) მოიხვეჭა და ცენტრისთვის არც თუ ისე ცოტა — 3 პასი და ამდენივე ჩაჭრა მიითვალა.

მაშინ, როცა პირველი მეოთხედის შემდეგ ანგარიში მასპინძელთათვის უკვე კატასტროფული — 10:39 გახდა, „სლოვანის“ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა თავის შეგირდთ, ძალების დაზოგვა და რამდენიმე კომბინაციის დამუშავება უბრძანა. სტუმრებმა სწრაფ შეტევებსა და სტრატეგიას ზურგი აქციეს და ვარჯიში დაიწყეს, მაგრამ სანმარინოელებს არც იმის ძალები აღმოაჩნდათ, რომ სტუმრების მოთელვებს გამკლავებოდნენ და ანგარიშიც განუხრელად ლიუბლიანელთა სასარგებლოდ იზრდებოდა და ბოლო მეოთხედის წინ ფაეტანოელთათვის მთლად შემარცხვენელი — 28:98 გახდა.

„სლოვანმა“ „არ ინამუსა“, ბოლო მეოთხედიც მოუგო მასპინძლებს და ლიუბლიანაში 2 ოქტომბერს გასამართ განმეორებით შეხვედრას ყოველგვარი აზრი დაუკარგა.

მატჩის ნახევარი დაჰყო მოედანზე კოტე ტულუშმა, თუმც 4 ქულაზე მეტის ჩაგდება ვერ მოახერხა. სტუმართაგან ყველაზე გამორჩეული კი 36 ქულის მომხვეჭი ჟელკო ზაგორაცი გახლდათ.

ბოლოს კი თავს უფლებას მივცემთ გაცნობოთ, რომ „სლოვანი“ სანმარინული ვითომ ბარიერის დაძლევის შემდეგ 17 ოქტომბერს ხორვატულ „ზრინიევაცს“ შეხვდება.

**ირაკლი ბერტაია**

# ახალი ინსტრუმენტი ძველ ორკესტრში

2001-02 სეზონისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. დრო არ ითმენს, 2 ოქტომბერს საწვრთნელი ბანაკები იხსნება და გუნდები შემადგენლობის საბოლოოდ შევსებას ეშურებიან. მატებაა „იუტა ჯაზში“. სოლტლეიკსიტელთა ბებრულმა გუნდმა გუშინწინ, 27 სექტემბერს, 20 წლის რუსი ყმაწვილკაცი ანდრეი კირილენკო შეიმატა და ამ ამბავმა კლუბის მესვეურები ერთობ აღაფრთოვანა. „მოხარულნი ვართ, კირილენკო ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეა და ვიმედოვნებთ, ჩვენ გუნდს ახლო მომავლიდანვე წაადგება“ — უთქვამს „ჯაზის“ ვიცე-პრეზიდენტ კევინ ოკონორს.

20 წლის 206-სანტიმეტრიანმა რუსმა თავდამსხმელ-ცენტრმა ამ ოთხშაბათს სამწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი „იუტა ჯაზს“ და ამის სანაცვლოდ სამი წლის განმავლობაში ხელფასის სახით ორ მილიონს და 680 ათას დოლარს მიიღებს. კირილენკო ჯერ კიდევ 1999 წლის დრაფტის პირველ წრეში ირჩია „იუტამ“, თუმც, როგორც ჩანს, მაშინ 18 წლის ჯეელი ნბა-სთვის მოუმწიფებლად მიიჩნია და რუსულ ცსკა-ში თამაში აცალა. ახლა კი, როცა იგი მოღონიერდა, „იუტამ“ ფართოდ გაუღო კარი. „ჯაზივე“ დაეხმარა მას ცსკა-სთან კონტრაქტის გამოსყიდვაში. ასე რომ, ევოპაში კარგი მეფარის სახელდაგღებულ კირილენკოს, დამდეგი სეზონიდან „იუტას“ მაისურით მოსილს, სახელოვანი ბებრების — კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის მხარდამხარ ვიხილავთ.

აღსანიშნავია, რომ „იუტას“ ჯერაც არ დაუმთავრებია 39 წლის ჯონ სტოქტონის კონტრაქტზე მუშაობა და კირილენკოს თავისთან დაგულების შემდეგ „ჯაზმენები“ ლიგის ყველა დროის უძლიერეს მეპასეს და ჩამჭრელს მიაპყრობენ ყურადღებას. სტოქტონს „იუტასთვის“ 17 წელი შეუწირავს, ბოლო წელს მისი გასამრჯელო 11 მილიონს შეადგენდა. ამ სეზონისთვის სავარაუდოდ მისი ხელფასი სამი მილიონით მოიკლებს, რითაც ვეტერანი მაინცდამაინც უკმაყოფილო არ უნდა იყოს. სტოქტონი ძველ კლუბთან ხელშეკრულების განახლებას 2 ოქტომბრამდე, საწვრთნელი ბანაკების გახსნამდე აპირებს, რათა თავის მე-18 სეზონისთვის მზადებას გულდამშვიდებული შეუდგეს.

**ივანე ძოზიაშვილი**



ანდრეი კირილენკო



# რეკონქისტა პალერმოში



REUTERS

ხუან კარლოს ფერერო ჰონკონგში პირველ ნომრადაა განთესილი

**პალერმო (იტალია). „საერთაშორისო სერია“ თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

ესპანელები თიხას აღმერთებენ და სადაც არ უნდა იყოს, თუ ტურნირი ყველაზე ნელ საფარზე ტარდება, პირინეის ნახევარკუნძულიდან ელიტარული ჩოგბურთელების მთელი გუნდი ჩადის ხოლმე.

ამჯერად ესპანელები მეზობელ კუნძულს, სიცილიას შეესივნენ. მაფიის სამშობლოს 400 ათასი ამერიკული მწვანე გამოუყვია პალერმოს ტურნირის საპრიზო ფონდისთვის და პირველი წრის ანგარიშებში კაცი დუჟინ ესპანელს ამოიკითხავს.

ვერ ვიტყვით, რომ პირინეელები პალერმოს წარმატებით ლაშქრავენ. უკვე პირველ წრეში არგენტინის მოქალაქე დავიდ ნალბანდიანმა განთქმული კარლოს მოიას ცოდვა დაიდო და მეორეში ფერნანდო ვისენტე მიაყოლა. ორივე შემთხვევაში ტომით სომეხს გამარჯვება არცთუ ძნელად მოსვლია, ეგ იყო, მოიამ ერთი სეტი მოუგო. ეს ის მოია გახლავთ, ვინც მთავარი სათიხნარე შეჯიბრი, „როლან გაროსი“, სამი წლის წინ დაინარჩუნა, ხოლო სერხი ბრუგერა სულაც ორჯერ იყო „დიდი სლემის“ იმ ტურნირის ჩემპიონი. ბრუგერა პალერმოში თითქმის უბრძოლველად დანებდა არგენტინელ მარიანო საბალეტას.

ზოგიერთმა სხვა ესპანელმაც უკვე გადაინაცვლა ტრიბუნებზე. ესენი არიან: ხუან ბალსელსი, გერმან პუენტესი და ხავიერ გარსია სინტესი, სხვები კი ჯერჯერობით მწყობრში დარჩნენ. „ცოცხლები“ არიან, მაგალითად, ალექს კორეჩა და ალბერტ კოსტა. უკანასკნელმა მეორე წრეში მოგებაც მოასწრო.

**პირველი წრე: ალექს კორეჩა (ესპანეთი, 1) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:5, 6:4; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 4:6, 6:3, 6:4; ფედერიკო ლუძი (იტალია) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:4; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:3, 6:1; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — მარკ გელნერი (გერმანია) 6:2, 4:6, 7:6 (6:4); დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — კარლოს მოია (ესპანეთი, 2) 6:2, 4:6, 6:3; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი, 6) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:1, 6:2; ტომი რობრედო (ესპანეთი, 4) — გერმან პუენტესი (ესპანეთი) 6:3, 6:0; გალო ბლანკო (ესპანეთი, 8) — ხავიერ გარსია სინტესი (ესპანეთი) 6:2, 6:1; ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 5) — ჯეიმი დელგადო (დიდი ბრიტანეთი) 6:1, 6:3; ფრანკო სკილარი (არგენტინა, 7) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:2**
**მეორე წრე: ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 5) — ფედერიკო ლუძი (იტალია) 6:2, 6:1; ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 7:6 (7:2), 6:2; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:4**

**ჰონკონგი (ჩინეთი). „საერთაშორისო სერია“ ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

ნახევარწლიანი უქმობის შემდეგ ულონივრესად მომწოდებელი მარკ ფილიპუსისი დაბრუნდა. ავსტრალიელმა წლის პირველ ნახევარში მუხლი დაიზიანა და კარგა ხანს მკურნალობდა, წარმატებით მოამთავრა ეს საქმე და კორტზე მობრუნების შემდეგ პირველსავე თამაშში 20 ეისი მოაწოდა. ფილიპუსისი დომინირებდა ებრაელ ჰარელ ლევიზე და 7:5, 6:3 მოუგო. თავისი მუხლის შესახებ ფილიპუსისი უაღრესად ოპტიმისტურ კომენტარებს აკეთებს.

„მთავარია, რომ მუხლი ოდნავაც არ მტკენია — განაცხადა ოზმა — თამაშიც კარგად ჩავატარე, ვგრძნობ, რომ დაბრუნება სასურველი გამომდის. არადა, როგორი საქმეა, 6 თვით შინ გამომკეტეს. 2 თვე ლოგინი, 2 თვე სავარძელი... მე კი ბუნებით აქტიური ვარ და ძლიერ გამიჭირდა“.

ფილიპუსისს მეორე წრეში შანხაის ტურნირის მომგები, გერმანელი რაინერ შუტლერი ელის, ხოლო ენდი როდიკს ჰონკონგში საქმე იძულებით გამოელია. მან ფეხი იტკინა და პირველი წრის მატჩი მიატოვა მას შემდეგ, რაც 2 სეტი ითამაშა და მესამეში 3:3 იყო. როდიკს ყოველი მოწოდებისა და მიღებისას სახეზე ტანჯული გამომეტყველება ჰქონდა, ბოლომდე ვერაფრით გაძლო.

პირველ ოქტომბერს ტოკიოში იწყება მორიგი ტურნირი, ორჯერ მაღალი საპრიზო ფონდით, მაგრამ როდიკი იქნებ არც იქ იყოს.

„გადავწყვიტე, შინ წავიდე და დავისვენო — განაცხადა მაიამელმა როდიკმა — ფეხი ცოტა უკეთ მაინც თუ გამიხდა, ტოკიოში ჩავალ“.

**პირველი წრე: იონას ბიორკმანი (შვედეთი, 6) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:2, 6:4; ნიკოლას მასუ (ჩილე) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 2:6, 7:6 (7:5), 6:3; მარსელო რიოსი (ჩილე, 8) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:3, 7:5; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 5) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:3, 7:5; უეინ არტურსი (ავსტრალია) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:2, 6:2; ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 1) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 6:3, 4:6, 6:3; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) 2:6, 6:4, 6:3**

**ლაიფციგი (გერმანია). „შპარკასენის თასი“ ხალიჩა. საპრიზო 565 ათასი $**

სულ მალე ლაიფციგის ხალიჩაზე თავის მშვენიერ სხეულს გამოფენს ჩოგბურთის სექსსიმბოლო ანა კურნიკოვა, რომელიც თებერვალში ფეხის დაშავების შემდეგ მხოლოდ მეორე ტურნირში თამაშობს.

მანამდე ურთიერთობებს სხვები არკვევენ. პირში მთქმელი ფრანგი ვეტერანი ნატალი ტოზია (ავტორი სკანდალური წიგნისა საჩოგბურთო კულისებზე) წლეულს კარიერას ასრულებს და ცდილობს, ეს ღირსეულად გააკეთოს. ტოზია პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში კი გაუჭირდა ესპანელ ანხელეს მონტოლიოსთან: პირველი სეტი ტაიბრეიკში წააგო, მაგრამ მომდევნოებში იძალა.

კვლავ მხოლოდ სიამოვნებისთვის თამაშობს „როლან გაროსის“ ხორვატი ექსჩემპიონი ივა მაიოლი. მას უფრო ხშირად „უაილდ ქარდით“ იწვევენ და თამაშით თავს არ იკლავს. ამჯერად მაიოლის 20 წლის რუსმა, ანასტასია მისკინამ მოუგო.

**პირველი წრე: ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:2; დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 5:1 (ტრავმა); ანე კრემერი (ლუქსემბურგი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 7:5, 5:7, 6:4**
**მეორე წრე: ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 2) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:7 (2:7), 6:3, 6:4; ელენა დემენტიევა (რუსეთი, 7) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 5:7, 6:4, 7:5; სილვია ფარინა ელია (იტალია, 5) — კვეტა შრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 7:6 (12:10); მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 6) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 2:6, 6:3**

**ბალი (ინდონეზია). „ვისმილაკ ინტერნეიშენელ“ ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $**

კუნძულ ბალიზე ჩოგბურთელები მიიზიდა არა საპრიზო ფონდის სიდიდემ (ბევრი არაფერია), არამედ იმან, რომ ეს კუნძული ნებისმიერი ტრანსოკეანური კრუიზის მარშრუტში შედის. შორიდან ლამაზი, ბუნების წიაღი დიდებული, უამრავი ძველი პაგოდა და ერთიც კოხტა ვულკანი — ბალი ტურისტული სამოთხეა.

თუმცა უმაღლესი ელიტიდან იქ არავინაა, ძირითადად მეორე ეშელონის გოგოები თამაშობენ, მაგალითად, ტაილანდელი ტამარინ ტანასუგარნი, რომელსაც მეოთხედფინალში გასასვლელად 65 წუთი დასჭირდა. ამ დროში ტაილანდელმა ფრანგი ალექსანდრა ფუზე გააგდო. დანარჩენი ფავორიტები თავიანთ შარას წარმატებით მიუყვებიან.

**მეორე წრე: ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — ალექსანდრა ფუზე (საფრანგეთი) 6:3, 6:2; რიტა გრანდე (იტალია, 5) — ძინ ცუინ ი (ჩინეთი) 6:4, 6:1; ტინა პისნიკი (სლოვენია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:3, 6:2; ჟოანეტ კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა, 8) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:4, 6:4**

**დავით გულუა**



REUTERS

მარჯვნიდან მეორე მაიკლ ჩანგია, მარცხნიდან მეორე — ჩინელ-ამერიკელი მომღერალი კოკო ლი. მათ ჰონკონგის ტურნირი გახსნეს

მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. ანტვერპენი (ბელგია)

# ანტვერპენში დავიწყებული სიდნეი

**ფრანგი** არნო ტურნანი ბელგიურ ანტვერპენში მიმდინარე ტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ტურნანმა ჰიტი მოიგო და ამ უძნელეს დისციპლინაში უკვე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, რაც მანამდე მხოლოდ ლეგენდარულმა გერმანელმა ლოთარ თომსმა მოახერხა 1977-1981 წლებში.

1998 წლიდან მოყოლებული არნო ტურნანი ოდენ ერთხელ დამარცხდა ჰიტში — მან შარშან სიდნეიში შეირცხვინა თავი და მეხუთე ადგილს დასჯერდა. მაშინ ოქროს მედალი დიდბრიტანელმა ჯეისონ ქველიმ მოიხვეჭა.

ანტვერპენში ამ ორი მრბოლის დუელს ყველა ელოდა, მაგრამ ამაოდ. ინგლისელს საკუთარი ქვეყნის ფედერაციასთან უთანხმოება მოუვიდა და ჩინოსნებმა ჰიტში თავის გამოჩენის შანსიც მოუსპეს. თუმცა სულ უნაკრებოდაც ვერ დატოვეს. ის ამერიკულ და ოლიმპიურ სპრინტში მიიღებს მონაწილეობას.

„სიდნეის იმედგაცრუება დავიწყებულია. უნდა ვაღიარო, რომ გახურებისას ფეხები ცოტა მეტკინა და ვიფიქრე, ორიოდ დღის წინ მორჩენილი სურდო საბედისწერო არ გამომდგარიყო ჩემთვის. თუმცა ყველაფერი ჩინებულად წარიმართა“ — განაცხადა არნო ტურნანმა.

ქველის არყოფნის მიუხედავად, ფრანგს 20 მეტოქიდან ზოგიერთის საკმაოდ უნდა შინებოდა. თავიდან მისმა თანამემამულე ერვე განემ აჩვენა საუკეთესო დრო და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული კარგა ხანიც ინარჩუნებდა პირველობას. მერე პოლონელმა კრეინერმა არცთუ ძლიერად დაწყებული რბოლა მშვენივრად დაასრულა, მაგრამ მას გერმანელმა ლაუსბერგმა აჯობა, რომელმაც ბოლო წრე არასახარბიელოდ გაიარა.

ბოლოს სტარტზე ტურნანი გამოვიდა. მას ყველა საშუალედო ფინიშზე საუკეთესო დრო ჰქონდა და, მართალია, უკანასკნელ მეტრებზე გაუჭირდა, მაგრამ მაინც საკმაოდ იოლად მოიგო.

„ვფიქრობ, ლაუსბერგთან ჩემი უპირატესობა საკმაოდ დიდია, თუმცა ეს ალბათ მეტოქეების შედარებით სუსტი გამოსვლით აიხსნება“ — თქვა ტურნანმა პოდიუმიდან ჩამოსვლის მერე.

| ვაჟები. ჰიტი 1000 მ. |
|---|
| 1. არნო ტურნანი (საფრანგეთი) 1,02.571 |
| 2. სიორენ ლაუსბერგი (გერმანია) 1,03.363 |
| 3. გჟეგოჟ კრეინერი (პოლონეთი) 1,03.567 |



არნო ტურნანმა (მარჯვნივ) სიორენ ლაუსბერგი უკან მოიტოვა

ვუელტა 2001

# ერასის ზურგქარი მერკადოს პირქარია



REUTERS

ჯილბერტო სიმონიმ გზაზე დაყრილი ყურძნით გაისველა პირი

**მეჩვიდმეტე** ეტაპის გზა საკმაოდ უცნაური, ერთგვარი სამკუთხედის ფორმისა იყო. მრბოლებს ჯერ 110 (!) კილომეტრიანი აღმართი ელოდათ, მესამე კატეგორიის სიძნელის მუელას მთის გადავლის მერე კი 50 კილომეტრი თავქვე უნდა ევლოთ. მართალია, ამ 110 ათასი მეტრის გავლის შემდეგ პელოტონი ზღვის დონიდან მხოლოდ 800 მეტრით ამაღლდებოდა, მაგრამ ეტაპს იოლი მაინც არ ეთქმოდა.

მხოლოდ 4 კილომეტრი იცადეს ორილომ, გარატემ, ლაგუნამ და სმეტანინმა შეტევამდე და პელოტონსაც გაექცნენ. ოთხეულმა ერთმანეთს კარგად გაუგო და მალე მათმა უპირატესობამ სამ წუთს გადააჭარბა. მუელას უმაღლეს წერტილამდე პელოტონს ერიკ ზაბელის „ტელეკომი“ ედგა სათავეში, დაღმართზე კი გერმანულ გუნდს „დომოც“ მიეხმარა რიშარ ვირანკის თაოსნობით. ლტოლვილებიც ამის და კიდევ ერთი ამბის გამო დაშვრნენ ამაოდ.

ალბასეტემდე 32 კილომეტრით ადრე გვერდითი ქარის გამო პელოტონი ნაწილებად დაიხლიჩა. ჰოდა, წინ მყოფმა ჯგუფმა უკან დარჩენილები მაშინვე გაარკვია და სიჩქარეც მეყსეულად გაზარდა. ხაფანგში საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე მყოფი ხუან მიგელ მერკადო და მეხუთეადგილოსანი დავიდ პლასაც გაბმულიყვნენ. ამიტომ „პოსტალს“ შანსი მიეცა, თავისი ლიდერი რობერტო ერასი ვირტუალურ პოდიუმზე აეყვანა და მის წევრებს მიზნის მისაღწევად ძალ-ღონე აღარ დაუზოგავთ.

ძალიან მალე პელოტონის მეორე ნაწილი პირველს ერთი წუთით ჩამორჩა, დილის მოიერიშეები კი ჩაიყლაპნენ. აქედან მოყოლებული, ორმა ჯგუფმა ნამდვილი გამოდევნებით რბოლა გააჩაღა, რომელიც მოწინავეების წარმატებით დასრულდა. ბოლო 20 კილომეტრი უსწრაფესად გაიქროლეს მრბოლებმა — 80 კმ/სთ საშუალო სიჩქარით! 39 კაცი ერთიანად მივიდა ფინიშზე და დანარჩენებს 1 წუთი და 17 წამი მოუგო.

ზაბელის უკან ყოფნის გამო „ტელეკომიდან“ სპრინტში დანილო ჰონდო მონაწილეობდა, თუმც მასა და კიდევ ერთ ცნობილ პეპელას, ავსტრალიელ რობი მაკივენს სამხრეთაფრიკელმა რობერტ ჰანტერმა აჯობა.

„უმალ მივხვდი, ბევრ წამებს წავაგებდი, რადგან დაწევა უძნელესი იყო. ასე ხდება ხოლმე, შენს წინ მავალი მრბოლი დაიღლება და თავის წინას ჩამორჩება. შენ მარტო ცდილობ სხვაობის გაბათილებას, მაგრამ ისინი კიდევ უფრო აუჩქარებენ“ — ახსნა თავისი უიღბლობა მერკადომ. კასერომ კი თქვა, კიდევ კარგი, ერასის და ლეფემერის გვერდით ვიყავი, რომლებიც თავიდან ჩამორჩნენ, მაგრამ პოსტალელები მაგათთვის შრომობდნენ და მალევე მისცეს დაწევის საშუალებაო.

**გაგი გურული**

| მეჩვიდმეტე ეტაპი |
|---|
| მურსია — ალბასეტე, 159,5 კმ |
| 1. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, ლამპრე) 3სთ 18წთ 46წმ |
| 2. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი) |
| 3. რობი მაკივენი (ავსტრალია, დომო) |
| 4. დიმიტრი ფოფონოვი (ყაზახეთი, კოფიდისი) |
| 5. ანხელ ვისიოსო (ესპანეთი, კელმე) ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) 58სთ 23წთ 44წმ |
| 2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +25წმ |
| 3. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +2წთ 20 |
| 4. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +3წთ 19 |
| 5. ლევი ლეფჰემერი (აშშ, პოსტალი) +3წთ 55 |

ევროპის საკლუბო თასი

# [illegible] თავი მონიკელდა

**კრეტაზე** ევროპის საკლუბო თასი თამაშდება. იქ საფეხბურთო წესებია ანუ მნიშვნელობა არა აქვს, რომელი კლუბი რა ანგარიშით მოიგებს. უფრო სწორად, როგორ არა აქვს, მაგრამ მხოლოდ დამატებითი კოეფიციენტების დათვლისას. ისე კი მატჩის მოგება 2 ქულაა, ფრე — ერთი და წაგება... 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი მხოლოდ რუსულ „ნორილსკი ნიკელს“ დაუგროვდა, რომლის მთავარი მეომრები არიან სერგეი დოლმატოვი, ალექსანდრ გრიშჩუკი, სერგეი რუბლიოვსკი, ვადიმ ზვიაგინცევი და ვლადიმირ მაკაროვი — ყველა რუსეთის მოქალაქე. ერთეროვანმა „ნორილსკი ნიკელმა“ მეორე ტურში იუგოსლავიურ „ალკანოიდს“ მოუგო, იმას პოლონური „პოლონია“ მიაყოლა და მეოთხე ტურში პრინციპული ომი გამართა ლეგიონერებით დახუნძლულ „ბოსნასთან“.

ბოსნიური კლუბი თასის მოქმედი პატრონია და ძალიან ძლიერი ლეგიონერები ჰყავს, რუსი ალექსეი დრეევი, ებრაელი ილია სმირინი და ბულგარელი კირილ გეორგიევი, მაგრამ ის დღე რუსების იყო. დოლმატოვმა დრეევს მოუგო, გრიშჩუკმა — სმირინს, რუბლიოვსკიმ გეორგიევი დაიბრიყვა. დანარჩენ პარტიებში ყაიმები დაფიქსირდა და რუსებმა 4,5:1,5 მოიგეს. „ბოსნა“ ოდნავ ჩამორჩა, წინ კი სულ რუსული კლუბები არიან. „ნორილსკი ნიკელს“ კუდში მისდევენ „სანკტ პეტერბურგი“ და „გაზოვიკი“, აგრეთვე გერმანული ბრემენის „ვერდერი“, რაც გასაკვირია.

„გაზოვიკსაც“ ქულათა მაქსიმუმი ექნებოდა, ბოსნიურ „კისელიაკთან“ რომ არ წაებორძიკა. ქართველი ლეგიონერების კლუბი („კისელიაკს“ ვგულისხმობთ) კრეტაზე პროგნოზებს მისდევს, ანუ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ჩამორჩა, მაგრამ „ბოსნიელები“ უბრძოლველად არაფერს თმობენ.

მეორე ტურში გამარჯვების შემდეგ „კისელიაკს“ ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა და სწორედ მაშინ შეხვდა „გაზოვიკს“. რუსთა მოლდავმა ლეგიონერმა ვიორელ ბოლოგანმა ზურაბ აზმაიფარაშვილთან წააგო, მაგრამ მომდევნო დაფებზე ალექსანდრ ლასტინმა და ალექსანდრ მოტილევმა გაიმარჯვეს. ვალერი ფილიპოვის წაგებით ანგარიში გათანაბრდა და ყველაფერი გადაწყდა იმ დაფაზე, სადაც ევგენი ნაერმა თამაზ გელაშვილს დებიუტში აჯობა, მაგრამ ქულა ვერ აართვა — ყაიმი პარტიაში და მატჩშიც. „კისელიაკი“ კვლავ რჩებოდა ლიდერებში, მაგრამ მეოთხე ტურმა ილუზიები გაფანტა. ბოსნიური კლუბი ეთამაშა „სანკტ პეტერბურგს“ და 2,5:3,5 წააგო. ქართველების ბრალი ამ საქმეში მიზერული იყო. აზმაიფარაშვილი მედგრად ეთამაშა ფიდეს ექსჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს და ქულა გაუყო, გელაშვილმა სერგეი ვოლკოვს მოუგო კიდეც, მაგრამ აიწყვიტეს პიოტრ სვიდლერმა და კონსტანტინ საკაევმა, ბებერმა ვიქტორ კორჩნოიმაც მეგობრებს ნახევარი ქულა შეაწია და რუსებმა გაიმარჯვეს.

3 ტური დარჩა.

**დავით გულუა**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge